პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 17 (13411) | პარასკევი, 21 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ვ. ი. ლენინის სახელოვანი დროშით, ლენინური კომუნისტური პარტიის ბრძნული დინამძღოლობით — წინ, კომუნიზმისაკენ!

ვ. ი. ლენინი.

მხატვარი ვ. ვასილიევი.

უკვდავი მოძღვრება

ჩვენი საუკუნე მხოლოდ ოცდათხი წლისა იყო, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება თითქმის შვიდი წლისა, როცა შეწყდა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიცოცხლე.

ზოგიერთი სკეპტიკოსი, რომელიც შემდეგ ისტორიამ სანაგვეზე გადაყარა, მაშინ ეჭვს გამოთქვამდა, ივლიდა თუ არა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა ლენინის გზით. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა ეს ეჭვი დიდი ხანია საქმით გააქარწყლა. დღეს უკვე ორმოცდაორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხები მიდიან წინ ულენინოდ, ლენინური გზით.

და განა მარტო საბჭოთა ადამიანები! მთელი მსოფლიოს მილიარდზე მეტი კაცი აშენებს დღეს ახალ ყოფას, ახალ ცხოვრებას ილიჩისებურად, ლენინური დროშით.

ლენინური ნაპერწკლით დაწყებული საქმე იქცა უდიდეს ძალად. ჩვენი ეპოქის მთავარ მაგისტრალზე მოჰქრის კაცობრიობის გაზაფხულის ლოკომოტივი. მისი მამოძრავებელი ძალა ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ულენინოდ, მაგრამ ლენინურად წარმატებით წყვეტს ბედნიერი მომავლის ამოცანებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა მადლიერი გული აღსავსეა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი უსაზღვრო სიყვარულით. მრავალი თაობა ოცნებობდა სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებაზე. მარქსმა და ენგელსმა რევოლუციური აზროვნების ისტორიაში პირველად დაასაბუთეს მეცნიერულად კაპიტალიზმზე სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა, გვიჩვენეს ბრძოლის გზები. პროლეტარიატში დანახეს ისტორიის მთავარი ძალა. ვ. ი. ლენინმა გენიალურად განავითარა მეცნიერული კომუნიზმის თეორია ახალ ისტორიულ პირობებში და რევოლუციური პრაქტიკად განახორციელა იგი.

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა რევოლუციონერთა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა მოწინავე რევოლუციური თეორიით, დარაზმა მეფის რუსეთის ხალხები კაპიტალის ბატონობაზე საიერიშოდ და გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი. დაიწყო სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. ლენინის მოძღვრება შუქურაა. რომელიც მშრომელებს უნათებს თავიანთი განთავისუფლებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის გზას.

ლენინის დროშით გაიმარჯვა სოციალიზმმა სსრ კავშირში. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დაწყება არის ლენინის ანდერძის შესრულების შედეგი. კომუნისტური პარტიის დიადი მაორგანიზებელი და ნარმმართველი მოღვაწეობის, მისი ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგი, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის გმირული შრომის შედეგი.

ლენინიზმის დროშით მიმდინარეობს სოციალიზმის მშენებლობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. იზრდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ადამიანები სახის უცვლიან ჩვენს ქვეყანას. ახორციელებენ კაცობრიობის ყველაზე გაბედულ ოცნებას— იერიშით იღებენ კოსმოსურ სიმაღლეებს. ყოველ დღეს მოაქვს ახალი სასიხარულო ამბები საბჭოთა ხალხის წარმატებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მთელ თავის მსოფლიო-ისტორიულ მონაკვეთებს, ყველაფერს, რაც ამაღლებს და ადიდებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს პარტიას, საბჭოთა ადამიანები უკავშირებენ ვ. ი. ლენინის სახელს, გენიალური მოაზროვნისა და მშრომელთა საყვარელი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქნელის სახელს.

ლენინის იდეები ეროვნულ საკითხში საფუძვლად ედევს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც ნებაყოფლობითს და თანასწორუფლებიან საწყისებზე გაერთიანდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, მძლავრი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენს. დღეს საბჭოთა კავშირი არის ხალხთა მშვიდობის დამოუკიდებლობისა და უშიშროების მძლავრი დასაყრდენი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველმა ხალხმა, რომელიც თავიდანვე ერთსულოვნად კაჰყვა დიდი ლენინის გზას, სასახელო წარმატებები მოიპოვა მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ მშრომელი ქართველი ხალხის წვლილს იმ დიად საქმეში, რომელიც ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა. საბჭოთა საქართველომ გასულ წელს მეორედ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, ორგზის ორდენსანსი საბჭოთა საქართველოს მშრომელები ამ მაღალ ჯილდოში ხედავენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ახალ დადასტურებას.

მადლიერი საქართველო, მისი შრომისმოყვარე ხალხი სკკპ XXIII ყრილობის შესახვედრად გაშლილი მძლავრი სოციალისტური შეჯიბრებით, ახალ ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის აქედანვე გაჩაღებული ბრძოლით უპასუხებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ მაღალ შეფასებას.

მზიური საქართველოს მშრომელები, რომელთა ცხოვრება და ყოფა გასხივოსნებულია ლენინიზმის შუქით, სათუთად ინახავენ დიდი ბელადის სიყვარულს. ქართულ პროზაში თუ პოეზიაში, კინოეკრანზე თუ თეატრალურ დადგმებში, ხალხურ ფოლკლორში თუ სახვითს ხელოვნებაში იღვწიან იმისათვის, რომ შექმნან ლენინის უკვდავი სახე. დღეს მთელ რესპუბლიკაში გაჩაღებულია დიდი მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად განკვრიტა სოციალიზმის განვითარება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. თავისუფლების იდეები, ლენინიზმის იდეები ძლევამოსილად ვრცელდება ყველა კონტინენტზე. ლენინური გზით, ჩვენს მხარდამხარ მდიან მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნები. ახლა სოციალიზმის დროშა ფრიალებს არა მარტო ევროპისა და აზიის ქვეყნებში, არამედ კაპიტალიზმის ციტადელის—ამერიკის შეერთებული შტატების გვერდით—კუბაში.

იმპერიალიზმი ცდილობს გაიხანგრძლივოს არსებობა. ომით დაამტკიცოს ლენინიზმის იდეების წინსვლა. უკვე წელიწადზე მეტია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ხელს არ იღებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითარების გამწვავებაზე. მამაცი ვიეტნამელი ხალხი იბრძვის აგრესიის წინააღმდეგ. აზიის ეს პატარა სოციალისტური ქვეყანა მარტო არ არის. მას სოლიდარობას უცხადებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ერთგულად იცავენ ლენინურ სამშვიდობო პოლიტიკას და ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ საშუალება არ მისცენ იმპერიალისტებს თერმოატომური კატასტროფის მორევში გადაჩეხონ მსოფლიო. ეს ჭეშმარიტად ლენინური პოლიტიკაა. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა იმას კი არ ისახავს მიზნად, რომ ჩაითრიოს ხალხები ომში, არამედ იმას, რომ ბოლო მოუღოს ომს“.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს ღრმად სწამთ სოციალისტური წყობილების მძლავრი ძალა. ჩვენი დიადი მიზნები და ჩვენი წინსვლის ნათელი გზა, ჩვენი ქვეყნის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული ლენინური კურსი, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა იმის უტყუარი საწინდარია, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით გადაჭრება. საბჭოთა ხალხი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ გამარჯვებას მოიპოვებს თავის ისტორიულ გზაზე.

ლენინის სახელი, მისი საქმენი და მოძღვრება უკვდავია.

ლენინიზმი უძლეველია!

თეთრწყაროელთა ინიციატივის პასუხად

მივცეთ დედასამშობლოს მეტი კვების პროდუქტები

დ. გელაშვილი,

საქ. კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი

ხუთწლედის პირველი წელი კარგად დაიწყეს სიღნაღის რაიონის მშრომელებმა. ყველგან წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვა, საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. სახელმწიფოს, უკვე მიეყიდა 100 ტონა ხორცი, 200 ტონა რძე და 200.000 ცალი კვერცხი.

სიღნაღელმა მშრომელებმა მხარი დაუჭირეს თეთრწყაროელ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას და იკისრეს 1966 წლის პირველი მარტისათვის — საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის წინადღისათვის სახელმწიფოს მიაყიდონ 420 ტონა ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 413 ტონისა. ამასთან ერთად მთელი გაყიდული პირუტყვი იქნება მხოლოდ უმაღლესი და საშუალო ნაკვებობის, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით საშუალოდ 10 პროცენტით შემცირდება ცენტნერი ხორცის თვითღირებულება.

ნაცვლად პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 626 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდება 630 ტონა რძე, ხოლო ცენტნერი რძის თვითღირებულება შემცირდება 8 პროცენტით. პირველ კვარტალში სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 775 ათასი ცალი კვერცხი. ფაქტიურად პირველი მარტისათვის მიეყიდება 780 ათასი ცალი კვერცხი.

ამხანაგები ანტონინ ნოვოტნი და ირჟი გენდრიხი მოსკოვში

19 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დრაგომირ კოლდერი, რომელიც მოსკოვში იმყოფება, და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ოლდრიხ პაელოვსკი.

ა. ა. გრომიკო ესაუბრა ეცუსაბურო სიინას

20 იანვარს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ეცუსაბურო სიინა შეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

ა. ა. გრომიკოსა და ეცუსაბურო სიინას შორის გაიმართა საუბარი ორივესათვის საინტერესო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

მის აღმატებულებას ქალბატონ ინდირა განდის ინდოეთის პრემიერ-მინისტრს

დელი

ინდოეთის პრემიერ-მინისტრს მაღალ პოსტზე თქვენი დანიშვნის გამო მიიღეთ, პატივცემულო ქალბატონო ინდირა განდი, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი უგულითადესი მოლოცვა.

დიდი კმაყოფილებით შევიტყეთ, რომ თქვენ იკისრეთ მაღალი მოვალეობა, რომელსაც წინათ ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი ღირსეული მიმდევარი ლალ ბაჰადურ შასტრი ასრულებდნენ. მათ ორივემ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განმტკიცებისათვის, ძალღონეს არ იშურებდნენ მიუმხრობლობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ამ კურსს შეესაბამება ახლახან მიღებული ტაშკენტის დეკლარაცია, რომელიც გამოხატავს ინდოეთისა და პაკისტანის ხალხების ძირეულ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირში თქვენ სარგებლობთ დიდი პატივისცემით როგორც ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, და დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, გაპყვება ჯავაჰარლალ ნერუს გზას და განახორციელებს მის იდეებს.

გიცნობთ რა როგორც ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს და გმაყოფილებით მოვიგონებთ თქვენთან შეხვედრებსა და საუბრებს, მსურს რწმენა გამოვთქვა, რომ თქვენ, როგორც ინდოეთის მთავრობის მეთაური, ხელს შეუწყობთ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. ეს სასარგებლო იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნების ინტერესებისათვის, არამედ ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

გისურვებთ, ქალბატონო პრემიერ-მინისტრო, წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში იმ მაღალი მიზნების მისაღწევად, რომ განამტკიცოთ ინდოეთის ეროვნული ეკონომიკა, უზრუნველყოთ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება ინდოელი ხალხის პროგრესისა და კეთილდღეობისათვის. ამ მიზნებს დიდი თანაგრძნობით ეკიდება საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ა. კოსიგინი.

მოსკოვი, კრემლი.

1966 წლის 19 იანვარი.

სომხეთის კინოდოკუმენტალისტთა ფილმები

ახალ წელს ერევნის დოკუმენტური და ქრონიკალური ფილმების სტუდიამ გადაწყვიტა მოამზადოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რამდენიმე კინოფილმი. ამ სერიის პირველი ნამუშევარი — სრულმეტრაჟიანი სურათი „ჩემი სომხეთი“ გაამუქებს რესპუბლიკის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მეორე ფილმი — „ერევანი“ მოგვითხრობს რესპუბლიკის დედაქალაქზე, იმაზე, თუ როგორ იზრდება მისი მრეწველობა, ვითარდება მეცნიერება და კულტურა.

სომხეთის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება არპა-სევანის გვირაბის გახსნა, რომლითაც მაღალი მთის ტბაში ჩავა მილიონობით კუბური მეტრი წყალი. დოკუმენტალისტებმა გადაწყვიტეს კინოფირზე აღბეჭდონ გვირაბის მშენებელთა თავდადებული შრომა, რომელთა შორის არიან სომხები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

ომის დღეებში ბელორუსის ტერატორიაზე საბრძოლო გმირობით სახელი მოიხვეჭა სომეხი ხალხის შვილმა პეტროს ზაქარიანმა. უშიშარი პარტიზანის გმირობაზე მოგვითხრობს ფილმი „სიკვდილზე ძლიერი“. წლის ბოლომდე ეკრანებზე გამოვა აგრეთვე ფილმები კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფეების სერგენ სპანდარიანისა და ალექსანდრე მიასნიკიანის შესახებ.

(საკდესის კორ.).

ერევანი.

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი სადამოს.

ფოტო ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სავაჭრო ურთიერთობა მჭკიდდება

სტამბოლი, 19 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირსა და თურქეთს შორის 1966 წლის 1 აპრილიდან 1967 წლის 31 მარტამდე საქონელბრუნვის შესახებ ახალი ოქმის ხელმოსაწერად თურქეთში ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია.

ლაშქროგა ეკონომიისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). შეიძლება 15 ტონა ლითონის ეკონომია თვეში ვინმეს არც ისე დიდ საქმედ მიაჩნდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პირობას მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს დგან „1000“-ის მხოლოდ ერთი ლ. აირაპეტიანის ბრიგადა იძლევა, აღვილი წარმოსადგენია, რა ეკონომიასთან გვექნება საქმე მთელ ქარხანაში.

მართლაც. მეტალურგებმა, აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება აიღეს ყოველდღიურად დაზოგონ ათასობით ტონა ლითონი.

ბათუმი. (საკ. კორ.). ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ კოლექტივმა გადაწყვიტა ლამპრატორიული ავტოტრანსფორმატორების კონსტრუქციული ცვლილებებით გასწიოს 70 ტონა ელექტროტექნიკური ლითონის და 125 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

დანაზოგი ლითონი ქარხანას საშუალებას მისცემს მიმდინარე წელს დამატებით გამოუშვას რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი გამართულად დაიწყო შორაპნის ელექტროელექტრონული ქარხნის კოლექტივმა. საკმარისია ითქვას, რომ შორაპნელები ყოველდღიურად სამშობლოს გეგმის გადამეტებით აძლევენ 1000 ცალ ელექტროელემენტს და 100 ცალ ელექტრორელეს.

ქარხნის კოლექტივმა გაიჩაღა ლაშქრობა მომჭირნეობისათვის. საუცხოო წინადადება წამოაყენეს ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსმა მ. ხუტაშვილმა, ზეინკლმა შ. გოჩოლეიშვილმა და ენერგომეურნეობის განყოფილების უფროსმა ი. ჯაფარიძემ. ელექტრორელეს უკანა შეერთების ფინის (პლასტინა) დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებით ძალიან მცირდება ფიურცლოვანი თითბრის დანაკარგი.

თუ წინათ თითბრის დატვიფვრისას გამოყენების კოეფიციენტი 50 პროცენტი იყო, ახლა იგი 80 პროცენტს აჭარბებს. მარტო ამ წინადადებით წლიურად დაიზოგება 3.744 კილოგრამი ფიურცლოვანი თითბერი. ეს ერთი შეხედვით დიდი ციფრი როდია, მაგრამ ამ დანაზოგით შეიძლება დამზადდეს 48.000 ცალი ელექტრორელეს უკანა მეერთების ფინი.

თელავი. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა ტექნოლოგიური პროცესებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მოწინავე ტექნიკის დანერგვით წელს დაზოგოს ხუთი ტონა ნედლეული. ეს ფაბრიკას შესაძლებლობას მისცემს დამატებით გამოუშვას 1.400 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი. მისი ღირებულება 78 ათას მანეთს აღემატება. ამასთან ფაბრიკა დაზოგავს 25 ათას კილოვატ ელექტროენერგიას.

სამკერვალო ფაბრიკის მკერავებმა იკისრეს დაზოგონ რვაასი მეტრი შალისა და მაუდის ქსოვილი და ოთხი ათასი კილოვატი ელექტროენერგია.

მომჭირნეობის საქმეში გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ფიქალმრმარილოს კომბინატის, აგურ-კრამიტის ქარხნისა და სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისადმი

საქართველოს მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ეგებებიან სკკპ XXIII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას. ყველგან ჩქეფს შემოქმედებითი შრომის პათოსი, ქალაქისა და სოფლის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო ბევრი ახალი დიადი გამარჯვებით შეეგებოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების სრულყოფას, ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდას. ფიზიკური კულტურა და სპორტი ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ განხორციელდა სოფლად ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაშლისა და შესაბამისი ბაზების მშენებლობისათვის. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სოციალისტურ სოფელში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, სასპორტო ბაზების მშენებლობა.

როგორც უკვე იტყობინებოდა პრესა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეთა, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა ინიციატივა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში კომპლექსური სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა საკუთარი სახსრებით მშენებლობის შესახებ. აგრეთვე სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ.

აღნიშნული მეურნეობების მშრომელებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს თავიანთი კოლექტივების შრომითს მიღწევებში, ჯერ კიდევ როდი აქვთ შექმნილი ყველა პირობა კულტურული და აქტიური დასვენებისათვის. ეს გარემოება კი იწვევს ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ლტოლვას ქალაქისაკენ, მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს.

შემოქმედის, ვაზისუბნის კოლმეურნეობათა და ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა თავიანთი ახალგაზრდობის თხოვნითა და ინიციატივით ვალდებულება იკისრეს დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავისათვის განახორციელონ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოფლად სასპორტო ბაზების შექმნისა და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის.

აღნიშნულმა კოლექტივებმა თავიანთ ვალდებულებებში აღნიშნეს, რომ სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღეებისათვის მიაღწევენ თავიანთი ყველა წევრის 30 პროცენტის გაერთიანებას ფიზკულტურასა და სპორტში, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის ამ ციფრს აიყვანენ 50 პროცენტამდე; ფართოდ გაშლიან მასობრივ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ და სპორტულ საქმიანობას; რეგულარულად მოაწყობენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებსა და სამაჩო შეხვედრებს ცალკეულ სახეობათა სპორტში.

ვალდებულებები ითვალისწინებს აგრეთვე ამ სოფლებში და ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში წელს დაიწყოს და დამთავრდეს სტადიონის მშენებლობა ტიპური პროექტის მიხედვით. სტადიონს იქნება ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, კალთბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები.

დაიწყება და დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავისათვის დამთავრდება 25-მეტრიანი ღია საცურავი აუზის, ტანვარჯიშისა და სხვა სპორტული ასპარეზობის დარბაზების მშენებლობა, მოიწყობა სასპორტო ნაგებობების—დარბაზებისა და საცურავი აუზის გამობმის სისტემა, რომელიც იქნება გამოყენებული აგრეთვე სათბურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სათავსებისა და შენობების გასათბობად.

შემოქმედელები კისრულობენ ვალდებულებას კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივებში მიაღწიონ მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალთბურთის, სროლის, ლეღობურთის, ქართული ჭიდაობისა და ძალოსნობის სექციების ქმედითუნარიანობის ამაღლებას, აგრეთვე კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ხელბურთის, ჭადრაკის, ცხენოსნობისა და სხვა ეროვნული სახეობის სპორტის დანერგვა-განვითარებას; ვაზისუბნელები — შექმნან მძლეოსნობის, სროლის, ხელბურთის, ქართული, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ლეღობურთისა და ცხენოსნობის სექციები. ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშათა ვალდებულებაა შექმნან და განვითარონ 10 სახეობის სპორტის სექციები, მათ შორის ფეხბურთის, კალთბურთის, მძლეოსნობის, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ლეღობურთის, ხელბურთისა და სხვა.

შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებისა და მეზობელ ორგანიზაციებთან ამხანაგური და სამატჩო შეხვედრების გამართვით მიმდინარე წელს სოფელ შემოქმედში მომზადდება 10 თანრიგოსანი და მშთ 15 ნიშნოსანი, სოფელ ვაზისუბანში — 12 თანრიგოსანი და მშთ 17 ნიშნოსანი, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში — 7 თანრიგოსანი და მშთ 12 ნიშნოსანი. გაისად კი შემოქმედში მომზადდება 2 პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 15 სპორტსმენი, აგრეთვე მშთ 20 ნიშნოსანი, ვაზისუბანში — 2 პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 17 სპორტსმენი, მშთ 25 ნიშნოსანი, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში კი—ერთი პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 12 სპორტსმენი, აგრეთვე მშთ 18 ნიშნოსანი.

ვალდებულებათა მიხედვით 1966-1967 წლებში საზოგადოებრივი ინსპექტორებისა და მსაჯების რიცხვი შემოქმედის კოლმეურნეობაში გაიზრდება 30-მდე, ვაზისუბნის კოლმეურნეობაში — 35-მდე, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში — 15 კაცამდე. ისინი უხელმძღვანელებენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას რგოლებში, ბრიგადებსა და აგროუბნებში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ საქმიანობაში.

ამ მეურნეობებში ჩამოყალიბდება ნაკრები გუნდები სპორტის შესაბამისად 5, 6 და 4 კულტიგირებულ სახეობაში. ეს გუნდები მოხალისეობა მიიღებენ რაიონულ ჩემპიონატებში, უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო სასპორტო ტანსაცმლითა და ინვენტარით.

იკისრეს რა ეს ვალდებულებანი, შემოქმედელმა, ვაზისუბნელმა და ვარკეთილელმა მშრომელებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდას, მშრომელთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვასა და პროპაგანდას.

შემოქმედელმა და ვაზისუბნელმა კოლმეურნეებმა, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა მოუწოდეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს გამოეხმაურონ მათს პატრიოტულ ინიციატივას და ფართოდ გაშალონ მუშაობა კომპლექსური სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა ქსელის გაფართოებისათვის. სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომი გაფართოებისათვის. (საქლესი).

დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავისათვის

სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ავიყვანოთ თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე

ფრთებს ისხამს ბრძნული ნააზრევი

ვ. ი. ლენინის წერილები



ვ. ი. ლენინი

ნახატი პ. ვასილიევისა.

ლენინი რევოლუციური მოღვაწეობის დღიდანვე თვალყურს ადევნებდა საქართველოში მოვლენების განვითარებას, ახლო გაიცნო ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერები, მიწერ-მოწერა და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა მათთან.

ბელადის ნაშრომებში, წერილებში ხშირად არის მოხსენიებული საქართველო. ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეხუთე რუსულ გამოცემაში ბევრი ახალი მასალა შევიდა.

დღეს „კომუნისტში" ვბეჭდავთ აღნიშნული გამოცემის მიხედვით ვ. ი. ლენინის ზოგიერთ წერილს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ფართო მკითხველისათვის და დაკავშირებულია საქართველოსთან.

◇ ◇ ◇

დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ცმკა იმ აზრს ემხრობა, რომ ნება დაერთოს მე-11 არმიას აქტიურად დაუჭიროს მხარი აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემების სერიოზული განხილვის შემდეგ პასუხისმგებლობას იკისრებს წარმატებისათვის. გაფრთხილებთ, რომ უპაროდ ვსხედვართ ტრანსპორტის გამო, და ამიტომ ვერცერთ მატარებელსა და ვერცერთ ვაგონს ვერ მოგცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან ვეზიდებოდეთ მხოლოდ პურსა და ნავთობს. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ პასუხს პირდაპირი მავთულით და მას ხელს უნდა აწერდეს მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი, აგრეთვე სმილგა, გიტისი, ტრიფონოვი და ფრუმკინი. ყველა ამ პირის დეპეშებზე სანამ გიპასუხებდეთ, არავითარი ღონისძიება არ მიიღოთ.

14/II.

დაწერილია 1921 წ. 14 თებერვალს

იბეჭდება პირველად ხელნაწერის მიხედვით

ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ბ. კ. ორჯონიკიძისადმი დეკეშის პროექტით

წინადადებას გაძლევთ უპასუხოთ შიფრით პირდაპირი მავთულით

ორჯონიკიძეს

მივიღეთ სასოწარკვეთილი დეპეშა ნარიმანოვის, ბუნიატზადესი და სერებროვსკისა, რომლებიც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება მშიერ და გაძარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რომ ეს არმია დატოვებულ იქნას საქართველოში და რადაც უნდა დაჯდეს დაჩქარდეს პურის ჩამოტანა საზღვარგარეთიდან საქართველოს კონცესიების, მარგანეცისა და სხვათა სანაცვლოდ. გვიპასუხეთ სწრაფად.

პოლიტბიუროს დავალებით ლენინი

პოლიტბიუროს წევრთა ხმები
სასარგებლოდ — წინააღმდეგ
ლენინი

დაწერილია 1921 წ. 29 მარტს
პირველად არასრულად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

სრულად იბეჭდება პირველად, ხელნაწერის მიხედვით

ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

ძალიან შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ თურქები ატიანურებენ გათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, რათა მოიგონ დრო, სანამ მათი ჯარები გათუმისაკენ მივიწევენ. არ უნდა დავანებოთ მათ ასეთი გაჭიანურება. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვეტთ თქვენს კონფერენციას ჩემთან სალაპარაკოდ, სტალინი კი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გამოვარკვიოთ საქმე და დღესვე მივიყვანოთ ბოლომდე.

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 9 მარტს

იბეჭდება პირველად ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ბ. ჰ. ორჯონიკიძისადმი

შიფრით

ორჯონიკიძეს

თქვენი პასუხი სრული და ნათელი არ არის. გთხოვთ დაწვრილებითი ცნობები შეიტყოთ საქართველოს რევკომისაგან. პირველი, დაუდასტურა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ იტალიელებს ტყვარჩელის მაღაროების კონცესია, როდის, რა პირობებია, მაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, უფრო დაწვრილებით — წერილით. მეორე, ჭიათურის მარგანეცის მაღაროების შესახებ: გადაიყვანეს თუ არა მესაკუთრე გერმანელები მოიჯარეთა ან კონცესიონერთა მდგომარეობაზე, როდის, რა პირობებია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ და მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილება უაღრესად სწრაფად იქნას მიღებული. ამას გიგანტური მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც, რადგან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასა და გერმანიასთან უთუოდ აუცილებელია, ისევე როგორც საქონელგაცვლა ნავთობში, დიდი მასშტაბით ამ ქვეყნებთან, შემდეგ კი სხვებთანაც.

გთხოვთ მაცნობოთ ხოლმე საქართველოს რევკომის ღონისძიებანი.

ლენინი

5. IV 1921

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მ. ბ. ცხაკაიას

ძვირფასო ამხ. მიხა!

მივიღე წერილი მახარაძის შესახებ. ძალიან ვნაღვლობ, რომ არ შემიძლია ვესაუბრო. დავინალე და ავად ვარ. მივდივარ. გთხოვთ მოიმიტევოთ და საუკეთესო სალამი გადაეცით ამხ. ფილიპე მახარაძეს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წ. 6 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ვ. ი. ლენინი ქართველ ბოლშევიკებს ურჩევდა

□ გამოიყენეთ წიალი. □ მორწყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა. □ ელექტროფიკაცია ალორძინების ბერკეტი. □ ნავთსადენი გზას ხსნის.

... ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია...

ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 398.

... მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა... მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რადაც უნდა დაჯდეს.

ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 398-399.

...ერთბაშად ეცადეთ გაუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აჯორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განაპირობებს სოციალიზმზე გადასვლას...

ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 399-400

წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქოთბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გვიხსნის მსოფლიო ბაზრისკენ.

ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 274

ვ. ი. ლენინი ჭიათურას

დიდ მოთავალს უწინასწარმეტყველებდა

დიდი ლენინის სახელი, მისი იდეები მუდამ ახლობელი, შთამაგონებელი და საყვარელი იყო, არის და იქნება ყველა მშრომელისათვის, მათ შორის ჭიათურელი მაღაროელებისთვისაც.

ჭიათურელი მშრომელები ყოველთვის ბეჯითად, გულმოდგინედ სწავლობდნენ და მტკიცედ იცავდნენ ლენინის უკვდავ აზრებს, მოძღვრებას, ყოველთვის სათუთად და მოკრძალებით იხსენიებდნენ უდიდეს ადამიანს, რევოლუციის უბადლო გენიოსს...

ვლადიმერ ილიას-ძე იცნობდა ჭიათურელ მუშათა რევოლუციურ ბრძოლას, ჭიათურას — მარგანეცის ქალაქს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

მაღაროელთა საქმიანობასა და ბრძოლას დიდი ლენინ ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში იცნობდა. პარტიის მესამე ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი მუშათა ერთ-ერთი კრების მსვლელობა გამოჩენილმა რევოლუციონერმა მ. ცხაკაიამ დიდ ლენინს აუწერა 1905 წლის 28 ივნისს გაგზავნილ წერილში. იქ ნათქვამია:

„ჭიათურაში, ერთ ხევში, ღია მიწისქვეშა მაღაროსთან — ფარდულში, 18 ივნისს (ძველი სტილით) საღამოს 9 საათზე შეიკრიბა ხუთი ქვერაიონის ჭიათურის შეგნებულ მუშათა 200-მდე წარმომადგენელი, რათა მოესმინათ დელეგატის მოხსენება მესამე ყრილობის შესახებ... ეს ჯერ კიდევ პირდაუბანელი (ეს იყო შაბათ საღამოს) მუშები, რომელთა სახეებიც ზანგების სახეს ჰგავდა (მუშაობისაგან), ღამის 12 საათამდე დიდი ყურადღებით უსმენდნენ დელეგატს და დასასრულ გაისმა ხანგრძლივი ტაში და შეძახილები — „გაუმარჯოს პარტიის მესამე ყრილობას!". ადგილი ჰქონდა განსაცვიფრებელ გატაცებას. მათ მოსწონდათ ყველა რეზოლუცია, განსაკუთრებით კი რეზოლუციები აზრი შეიარაღებული აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ".

ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ ბარათში მ. ცხაკაია აღწერდა მეწმევიკებთან გამართულ დისკუსიებს, ჭიათურაში შექმნილ ვითარებას. მ. ცხაკაია ვლადიმერ ილიას-ძეს აცნობებდა, რომ ჭიათურაში 7.000-მდე კაცი მუშაობს, რომ პარტიული ორგანიზაცია მთლიანად ბოლშევიკების ხელშია, აქვთ საკუთარი სტამბა. მუშები მენშევიკებს უნდობლად ეპყრობიან... ამასთან დაკავშირებით მიხამ დიდ ლენინს ასეთი ფაქტი აუწყა:

მენშევიკები თავიანთ სიტყვებში ამტკიცებდნენ — საჭირო არ არის რევოლუციის მოწყობა. იგი 10 — შეიძლება 60 წლის შემდეგ იქნესო — რაზედაც მუშები დაცინვით უპასუხებდნენ: ასეთ შემთხვევაში მოდით და შემდეგ ასწავლეთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, ახლა კი ჩვენთვის თქვენ, მენშევიკები, ზედმეტი ხართო.

ესებოდა რა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამართულ დისკუსიებს, მიხა მოახსენებდა ლენინს: აქ არაფრის გაგონება არა სურთ, თუ აგიტატორი არ დაიწყებს ლაპარაკს ლენინზე და მის მიერ სტიქიურობისა და შეგნებულობის გაგებაზე. როგორც სედავთ, ამხ. ლენინს შეუძლია იამაყოს, რომ პროპაგანდისტები და აგიტატორები იძულებული არიან ეძიონ მისი „რა ვაკეთოთ?" და „ნაბიჯები"...

ჭიათურელ მაღაროელთა მამაცურ ბრძოლასა და პოლიტიკურ გაფიცვებზე ხშირად წერდნენ ლენინური „ისკრა", „პროლეტარი", „პრავდა". პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარი" იმხანად წერდა: ახლა ჭიათურის მუშები ჩაბმული არიან სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. ისინი გამოდიან როგორც ერთიანი, დარაზმული, ორგანიზებული რევოლუციური ძალა, რომელიც მზად არის პირველი მოწოდებისთანავე ბარიკადებზე დადგეს...

ძველი ბოლშევიკი გ. პარკაძე, რომელიც პირველი რევოლუციის ბობოქარ წლებში ჭიათურელ მაღაროელებთან მუშაობდა, ასეთ შემთხვევას იგონებდა: პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ჭიათურის მაღაროებში ბოლშევიკები მუშაობდნენ. მაღაროელებს, რომლებიც სულით და გულით ეწაფებოდნენ ვლადიმერ ილიას-ძის ბრძნულ აზრებს, ბეჯითად სწავლობდნენ მის შესანიშნავ შრომებს, სურდათ პირადად ეხილათ დიდი ლენინი. მაგრამ ეს იმხანად შეუძლებელი იყო. მაშინ მაღაროელებმა ითხოვეს: რადგან ეს შეუძლებელია, გადაეცით ლენინს, რომ თავისი პორტრეტი მაინც გამოგვიგზავნოსო. მაღაროელთა ამ თხოვნას ლენინამდე მიუღწევია. მას უთქვამს: დაე წარმოიდგინონ რუსი მუშა — და ეს იქნება ლენინი, დაე წარმოიდგინონ რუსი გლეხი — და ეს იქნება ლენინი...

მოგონების ამ სიტყვებში საუცხოოდ არის გადმოცემული დიდი ბელადის უბრალოება, თავმდაბლობა, ხალხთან სიახლოვე. აქვე მკაფიოდ ჩანს მაღაროელთა გულწრფელი, უანგარო სიყვარული და პატივისცემა რევოლუციის სწორუპოვარი გენიისადმი...

დიდი ლენინი კარგად იცნობდა ამიერკავკასიის, საქართველოს სიმდიდრეებს და გადაჭრით მოითხოვდა ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ ისინი. „ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია" — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ჭიათურის საკითხს არაერთგზის აყენებს ვლადიმერ ილიას-ძე და ზრუნავს მაღაროების აღდგენა-განვითარებაზე, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მათ გამოყენებაზე.

დიდი ლენინის ახლო მეგობარი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი ერთ-ერთ მოგონებაში ლენინზე წერს: შავი ლიმონების არასოდეს არ რჩებოდა ვლადიმერ ილიას-ძეს თვალთახედვიდან. იგი დიდძალ ლიტერატურას კითხულობდა ურალის, ციმბირის, კრივოი როგის, მაგნიტკის მთებისა და კურსკის ანომალიის შესახებ. როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა კავკასიაზე, იგი ლაპარაკობდა არა მარტო ნავთობის მრეწველობის განვითარებაზე, არამედ ჩვენს ყურადღებას მიაქცევდა მარგანეცის დამუშავებას ჭიათურაში, უწინასწარმეტყველებდა მას დიდ მომავალს.

დიდი ბელადის წინასწარჭვრეტა გამართლდა. საბჭოთა წყობილების მეოხებით, ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის მტკიცედ გატარებით, პარტიისა და მთავრობის ზრუნვით ჭიათურა შავი მეტალურგიის მძლავრი ცენტრი გახდა. მაღაროელთა შეუპოვარი შრომით გამოიცვალა მარგანეცის ქალაქი. მაღაროები აღიჭურვნენ უახლესი სამამულო ტექნიკით, აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ ადამიანები, რომლებიც შესანიშნავად მართავენ მექანიზმებს და შრომითს სასწაულებს ახდენენ...

ლენინური იდეებისადმი ერთგული მაღაროელები ღირსეულად, შეურცხვენლად იცავენ და აგრძელებენ თავიანთ სახელოვან ტრადიციებს: მათ შვიდწლიანი გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს მილიონ ტონამდე მარგანეცი, მარტო რაციონალიზატორებმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 4.466.300 მანეთი. ახლა კი ლენინური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად გამოვიდნენ.

დიახ, ჭიათურა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. მალე იგი უფრო კეთილმოწყობილი, მიმზიდველი იქნება. ინდუსტრიული ჭიათურა სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს. ამას უწინასწარმეტყველებდა მას დიდი ლენინი.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დაუვიწყარი დღეები და შეხვედრები

სამოცი წლის წინათ ენინგაში ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შვილები გიორგი, რუსუდანი და თამარი ხშირად ხვდებოდნენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. ეს შეხვედრები 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგაც გრძელდებოდა.

ამჟამად რუსუდან ნიკოლაძე ცხოვრობს თბილისში, პროფესორია და მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პროფესორ რუსუდან ნიკოლაძესთან ჟურნალისტ აკ. ნიჟარაძის საუბარი, რომელსაც დღეს ვბეჭდავთ, მიძღვნილია ცალადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი.

თბილისში ლენინის მოედანთან ახლოს ერთი სამსართულიანი ძველებური კაპიტალური სახლი დგას. ეს სახლი ყველასათვის ცნობილია. აქ დიდი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის საბუდარი იყო. ამ სახლში იკრიბებოდნენ რუსი და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, აქ ცოცხლობდა და ხარობდა ჩერნიშევსკისთან და გერცენთან შეკრული მეგობრობა, აქედან გამოდიოდა გერცენის „კოლოკოლის" ხმა საქართველოში.

ავდიოდი კიბეებზე და თან მიმქონდა ფიქრები ლენინზე. კარი გამიღო სანდომიანი ხასის ჭაღარაშერეულმა მანდილოსანმა. მიუხედავად წლოვანებისა, მის თვალებში ისევ ანალგაზრდული ცეცხლი კრთოდა. ეს გახლდათ ნიკოს ქალიშვილი რუსუდან ნიკოლაძე. რადგან მან უკვე იცოდა ჩემი დარბაზობის მიზანი, საუბარი პირდაპირ ლენინზე დავიწყეთ. ჩემს შეკითხვაზე, თუ როდის შეხვდნენ ნიკო ნიკოლაძის ოჯახის წევრები ლენინს, აი რა მიამბო მან:

„ეს იყო დიდი ხნის წინათ. მამას ხშირად დავყავდით საზღვარგარეთ, ისეთ ადგილებში, სადაც რაიმე სასარგებლოს ვისწავლიდით სამშობლოში გამოსაყენებლად.

1905 წლის ზაფხულს შვეიცარიაში ვატარებდით, სადაც მამა სიმპლონის გვირაბის მშენებლობას და ალპებში ჰიდროელსადგურების მშენებლობისა და მუშაობის პრაქტიკას უნდა გასცნობოდა. უმთავრესად კი ჟენევაში, ჩემი დედ-მამის საყვარელ ქალაქში ვიყავით. აქ მათი ახალგაზრდობის ბევრი მეგობარი იყო რუსეთის რევოლუციური ემიგრაციის წრეებიდან, კერძოდ გერცენის „კოლოკოლის" დროიდან, ე. ი. 1860-იანი წლებიდან. ამ ქალაქში მამის თაობის მეგობრებმა I ინტერნაციონალის ორი კონგრესის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა (1866 წ. ჟენევაში და 1867 წელს ლოზანაში); ხოლო დედაჩვენი ოლღა გურამიშვილი იქვე, ჟენევაში, მომდევნო წლებში ქართველ ქალთა პირველ ჯგუფთან ერთად კარლ ფოსტთან სწავლობდა ბუნებისმეტყველებას (ჟენევის უნივერსიტეტში). იქ დედა ტკაჩოვისა და ნიკოლოზ მოროზოვის ნაროდნიკების ჯგუფს დაუშეგობრდა, ასევე მეგობრობდა იგი ფრანგი კომუნარების ემიგრაციასთან. ყველანი ერთად დადიოდნენ იქ, I ინტერნაციონალის ჟენევის განყოფილების ღია კრებებზე, რაც ნ. მოროზოვს აღწერილი აქვს თავის მოგონებებში — „ჩემი ცხოვრების ამბები", II ნაწილი, „თავისუფალი მთები".

ამ ძველი ახლო მეგობრების ოჯახში შინაურულად ვსვდებოდით იმდროინდელი რუსი რევოლუციური ემიგრაციის საუკეთესო ძალები. ჩვენ, ახალგაზრდები, ხარბად ვეწაფებოდით ყოველი მათგანისაგან გაგონილ სიტყვას, მოგონებას, აზრს. მაგრამ მთელი ჩვენი გულისყური მიპყრობილი იყო „ისკრის" სტამბისაკენ, სადაც მამის „ობზორი" და მრავალი სხვა ნაშრომი იბეჭდებოდა. წინათ აქ „ისკრის" სტამბაში ასოთამწყობთა და გამომშვებთა შორის ერთი ქართველი ემიგრანტი დალმატ გალდავა გახლდათ. ჩვენც, ახალგაზრდობა, ვისწრაფოდით იქით, და თითქმის მთელ დღეებს სტამბის მუშებში ვატარებდით.

ჟენევაში ეს ისტორიული სტამბა ჩვენთვის რუსეთის რევოლუციის წმიდათა-წმიდას წარმოადგენდა. 9 იანვარს მომხდარი ამბების შემდეგ ეს სტამბა ერთგვარ პოლიტიკურ კლუბად გადაიქცა ჟენევის ემიგრაციისა და მთელი რუსული კოლონიისათვის. დღისით უმცროსები აქ ვისმენდნი სხვადასხვა მიმართულების რევოლუციონერების აზრთა გაცვლა-გამოცვლას; საღამოებს კი თითქმის ყოველდღე საინტერესო შეკრებებზე ვატარებდით, როცა ლენინს ყველა მის გამოსვლაზე. მის მიერ მოწყობილ მიტინგს კი, რომელიც „პოტიომკინის" ბრძოლის დღეებში ჟენევის ერთ უდიდეს ცენტრალურ კაფეში გაიმართა, ჩვენი დედ-მამაც დაესწრო და ორივენი აღტაცებულნი დარჩნენ ლენინის მიერ იქ წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვით.

ამ მიტინგის მეორე თუ მესამე დღეს „ისკრის" სტამბაში, გალდავას სამუშაო კუთხეში ვიმყოფებოდნენ. უეცრად თავისი ჩვეული ენერგიულით, სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ლენინი. მან გაოცებით გადმოგვაგლო თვალი მე და გიორგის და იკითხა: „აბათ რა უნდათ ამ სტამბაში?". გალდავამ იმწამსვე წარუდგინა მას გიორგი, როგორც თბილისელი გიმნაზიელი, რომელიც ამ სტამბაში ასოთამწყობას სწავლობდა, თანაც დაუმატა: მამამისიც „კოლოკოლის" გვერდებს აქ აწყობდა...

„გვარი?" — მოკლედ იკითხა ლენინმა.

— ნიკოლაძე, ლენინ, ალანკალებული ხმით უპასუხა გიორგიმ.

„ობზორის" რედაქტორი? — იმწამსვე გაიხსენა ლენინმა. ჩვენმა გაოცებამ და წამოძახილმა: — თქვენ საიდან გახსოვთ?, იგი ძლიერ გაამასხვილა. მან გულიანად გაიცინა, ორივეს ხელი ჩამოგვართვა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — წარსულს თუ არ იცნობ, მომავალს ვერ დაეუფლები. დიახ, დიახ! თქვა, და სამივეს მხიარულად გადმოგვხედა, რის შემდეგ შეგვკითხა მე და გიორგის: — იცით თუ არა, რომ აქ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენ გამოვეცით კატარა წიგნი, რომელშიც მოგიხსენიეთ ის გაზეთი და დიდი პატივითაც მოგიხსენიეთ.

ჩვენ ძალიან დავინტერესდით. საუბრის შედეგ ლენინმა გაგვგზავნა პარტიის ცეკას ბიბლიოთეკაში, სადაც მისი ბარათით ის წიგნი გვაჩვენეს. ეს იყო „მასალები რუსეთის სამეფო პრესის ისტორიისათვის". ნაწ. I, ჟენევა, 1898 წ. გამომცემლობა სოციალ-დემოკრატ".

ეს წიგნი ახლა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება, ნ. ნიკოლაძის არქივში. ამას გარდა ლენინმა, რომელიც განსაკუთრებით კარგად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ, შემდეგ შეხვედრაში გვიამბო ჩერნიშევსკის მეგობრობაზე ქართველ ახალგაზრდობასთან. ბოლოს გვაჩუქა თავისი ახლად გამოშვებული ბროშურა „სოფლის ღარიბებს", რომელსაც ყდაზე აქვს დასმული ბეჭედი „რსდპ ცენტრალური კომიტეტი". ის წიგნაკი, თვალისჩინივით გადამალული, საზღვარზე მოთარეშე ჟანდარმებს გადავარჩინე. სპეციალურად ამ წიგნაკის გასაცანად 14-ღილიანი მაღალყელიანი ფეხსაცმელი ჩავიცვი. ბედზე ჟანდარმებმა არ გამშვადეს ფეხსაცმელი და ეს შესანიშნავი წიგნაკი შვიდობიანად ნვიის ნაპირებზე ჩავიტანე, სადაც მას ხელიდას ვგულისხმიდით ერთმანეთს პეტერბურგის სტუდენტები მისი შინაარსის გასაცნობად.

გავიდა 12 წელი. თებერვლის რევოლუციის დღეებში მე და ჩემი და თამარი და მრავალი სხვა ახალგაზრდა თავრიდის სასახლეში ვიწყებდით მუშაობას. თავრიდის სასახლეში თებერვლის გადატრიალების დღიდან მუშაობა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომი იყო მოთავსებული. 1917 წლის მარტში ხმა გავრცელდა, რომ საზღვარგარეთიდან მალე უნდა ჩამოსულიყო ლენინი და მის შესახვედრად ფინეთის სადგურზე, იმათ წაგვიყვანდნენ, ვინც უკვე იმუშავიდა თავის საგუშაგოზე ამ სასახლეში.

თავრიდის სასახლეში ჩვენ ასე მოვხვედით: როგორც კი 27 თებერვალს (ვ. ი. 12 მარტს ახალი სტილით) მე და ჩემმა დამ თამარმა (იმჟამად ახლად კურსდამთავრებულმა ფიზიოლოგმა) დავინახეთ თავრიდის სასახლისაკენ (სადაც იმჟამად სახელმწიფო სათათბირო იყო მოთავსებული) მომავალი აჯანყებული ჯარების ზღვა, ჩვენც სხვა ახალგაზრდებთან ერთად შევეურთდით იმ მძლავრ ნაკადს, შევეკვეთ სასახლის დერეფნებში და იქვე ჩავეწერეთ ამ ჯარების მისაღებად და მათი კვების მოსაწყობად შექმნილ კომისიაში.

ჩვენ თავს არ ვიზოგავდით, ვარჩევდით წერილებს. და პირველად ლენინთან მივიტანეთ ის წერილები, რომლებშიც მიესალმებოდნენ მას. ლენინმა გაიღიმა და გვითხრა: — „ეს რა არის, მეორე ხელში რომ გიჭირავთ?". მე გაგწითლდი, — იმ წერილებში სხვადასხვა ჯურის ელემენტები ლენინს აკრიტიკებდნენ. მან შეშატყო, გამომართვა წერილები, წაიკითხა, ხელი დაკრა მაგიდას და სიცილით გვითხრა: აი ეს უფრო საინტერესო და საჭიროა.

არასოდეს არ წაიშლება ჩემს მეხსიერებაში ლენინი, როგორც ტრიბუნი და პოლემიკის დიდი ოსტატი. იგი აუდიტორიაში ამოღებული ხმალივით ელავდა. მახსოვს ერთი სხდომა, — ეს იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ერთ-ერთი სხდომა საზღვაო კორპუსში. მე მოვხვედი პირველ რიგში, იმ სკამის ახლოს, სადაც ლენინი იჯდა.

ტრიბუნაზე იდგა ულიანოვი, იგი ავითარებდა დებულებას, რომელსაც წინააღუდგა ლენინი, და უცებ დარბაზში გაისმა მისი სიტყვები:

— კი, მაგრამ ვინ ამტკიცებს ამას?

— მე!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— რევოლუციის მინისტრი...

ამაზე სამარისებურ სიჩუმეში ისარივით გაიელვა ლენინის რეპლიკამ:

— ფოსტისა და ტელეგრაფისა, არა?

ხალხმა გადაიხარხარა. ხმაურმა და ტაშმა საკეელი წაუხდინა ორატორს.

ეს დაუვიწყარი დღეები შემოწყვიტა ჩემი პატარა ვაჟის ავადმყოფობამ. მოგგზიხდა მისი წაყვანა ჯერ ყელზნოვოდსკში, იქიდან კი მამასთან, სოფელ ჯისაიში. და აი სულ მოკლე ხანში რევოლუციის ალიდან სამშობლო სოფელში აღმოჩენდი. ბავშვის მკურნალობა დიდხანს გაგრძელდა და ჩვენც ჩავრჩით საქართველოში"...

ასე დაამთავრა თავისი მოგონება ლენინზე სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა რუსუდან ნიკოლაძემ.

აკ. ნიჟარაძე.

თბილისი,
იანვარი, 1966 წ.

მხურვალედ იწონებენ

ულან-ბატორი, 20 იანვარი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომელსაც აქ მოაწერეს ხელი, როცა ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, უყველგან რესპუბლიკაში — საწარმოებში, დაწესებულებებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებში ეწყობა მიტინგები, რომლებზეც მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან ვიზიტის შედეგებსა და ხელმოწერილ დოკუმენტებს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულების დადება, განაცხადა ულან-ბატორის თბოელექტროცენტრალში გამართულ მიტინგზე ერთ-ერთი მუშაკის მუშაკმა ზ. ოდგერელმა, — დიდი მოვლენაა ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის ისტორიაში.

მეგობროგის საზოგადოება

კაირო, 20 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა ბას წინათ შექმნილი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკასსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის პირველი სხდომა. სხდომაზე განიხილეს და მოწონეს საზოგადოების ალტაუსისა და წესდების პროექტები, აგრეთვე განიხილეს ამ ახალი საზოგადოების გადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის გაშლასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.

საზოგადოების წესდებაში ნათქვამია, რომ მისი მიზანია განამტკიცოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მოქალაქეთა შორის მეგობრული კავშირურთიერთობა კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში.

საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს შექმნას მთელი რიგი განყოფილებანი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. თავდაპირველად განყოფილებები შეიქმნება ასუანში, პორტ-საიდსა და ალექსანდრიაში.

საკადესის კორესპონდენტთან ინტერვიუში საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მინისტრმა სიდკი სოლიმანმა განაცხადა: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა — სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების შექმნა ფართო გზას უსახავს ჩვენს ხალხებს მეგობრული ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. ჩემი აზრით, ამ ორი ხალხის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნების ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

სასარგებლო შეთანხმება

თეირანი, 20 იანვარი. (საკდესი). პრესის ცნობით, ირანის მთავრობამ გუშინ სალამოს სხდომაზე მოიწონა მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება, რომლის საფუძველზე სსრ კავშირი ირანს ხელს შეუწყობს მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი ქარხნების, ავტომობილთა ტრანსირანის გაზსადენის მშენებლობაში.

ბატრიოტთა ნარმატები

ბანგი, 19 იანვარი. (საკდესი). 1965 წელს სამხრეთ ვიეტნამში დახოცეს, დაჭრეს და ტყვედ წაიყვანეს ბატრის 167.500 ჯარისკაცი, მათ შორის 19.200 ამერიკელი. მარიონეტთა არმიის 60.000 ჯარისკაცი ან ჯარიდან გაიქცა, ან განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მხარეზე გადავიდა. ეს ნათქვამია სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლობის წარმომადგენლის კომუნიკეში, რომელიც „განთავისუფლების“ საგენტომ გადასცა.

სასტიკი ბრძოლების დროს, ნათქვამია კომუნიკეში, პატრიოტებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 52, მათ შორის ამერიკის ცხრა ბატალიონი, ჩამოაგდეს და დააზიანეს 1.337 თვითმფრინავი, ჩაძირეს 80-ზე მეტი საბრძოლო ხომალდი და კატერი. მიუხედავად იმისა, რომ შარშან სამხრეთ ვიეტნამში მკვეთრად გაიზარდა ამერიკის ჯარების რიცხვი, 1964 წელთან შედარებით მოწინააღმდეგემ დაკარგა ექვსჯერ მეტი ჯარისკაცი და ორჯერ მეტი საბრძოლო ტექნიკა.

ფასების ზრდა

ლონდონი, 19 იანვარი. (საკდესი). გასულ თვეში სამხრეთ ვიეტნამში საკომფლიქტო საკონსულო 30 პროცენტით აღინდა, ამას იუწყება საბჭოთა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

სურსათის ფასებმა თითქმის 50 პროცენტით მოიმატა.

ნზეგვუს განცხადება

კობენი, 19 იანვარი. (საკდესი). ბელგიელი ნიგერიანი შექმნილი „ფედერალური კონსულტაციური საბჭოს“ ხელმძღვანელმა მიიღო ნზეგვუმ დღეს დაადასტურა, რომ ხელშეკრულებლმა გადატრიალებას, რომელიც ნიგერიაში მოხდა წინა შაბათს.

კადუნაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ნზეგვუმ თქვა, რომ გადატრიალება, რომელიც მან მოაწყო ოფიცერთა ჯგუფთან ერთად, შეიძლებოდა ბევრ კიდევ დეკემბერში მომხდარიყო. „გადატრიალება, თქვა მან, „გადაიდო ტექნიკური მიზეზებიო“, აგრეთვე ფასთან დაკავშირებით, რომ ლაგოსში მოაწყო ერთა თანამეგობრობის ქვეყნების კონფერენცია, რომელმაც განიხილა სამხრეთ როდეზიის ახლანდელი კრიზისი.

საშიში შეთხვევა

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. (საკდესი). დღეს მეიპორტის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, ჯეკსონვილის (ფლორიდის შტატი) მახლობლად, სადაც დგას ატომური რაკეტებიანი საბრძოლო ხომალდები, ერთი შემთხვევიდან ერთადერთ დამავრდა ტარიელოკულად. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება ფრეგატ „ლუსში“ დაწყებულ გამო ჩაიკეტა „ატომური მოწყობილობა“. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელმა უარი თქვა დაეწუსტებინა ეს შემთხვევა, ბრალმ განაცხადა, აფეთქება არ მომხდარო და აღნიშნა, რომ ატომით მოძრავლის საფრთხე არ არის. მაგრამ ეროვნების ინტერესებისათვის დასძინა მან, ხორციელდება „სიფრთხილის ჩვეულებრივი ღონისძიებანი“.

გაუმვეს თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. (საკდესი). როგორც იუწყიტედ პრეს ინტერნაციონალ სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, გუშინ ვანდენბერგის ბაზიდან (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ძალებმა განახორციელეს დედამიწის თანამგზავრის გაშვება.

გამოქვეყნებული პროექტიკის შესაბამისად, სამხედრო-საჰაერო ძალთა წარმომადგენლის ცნობაში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ გაშვება განხორციელდა „ატლას-აგენას“ რაკეტული სისტემის საშუალებით.

კომუნისტი

მე-3 გვერდი. პარასკევი, 21 იანვარი, 1966 წ.

სოციალისტური ცხოვრებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორვეგიელ მოქალაქეთა მამაცობა

1944 წლის 20 ოქტომბერს ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ სვანვიკის რაიონში (ნორვეგია) საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს თვითმფრინავი, რომელსაც კაპიტანი პ. ზ. კოჩეგინი მართავდა. საბჭოთა მფრინავი იძულებული იყო დაეტოვებინა თვითმფრინავი. პარაშუტით დაშვების დროს მან დაიზიანა ფეხი.

მეორე დღეს მფრინავი შეხვდა ნორვეგიელ მოქალაქე ბიერნე ბედარის, რომელიც დაეხმარა საბჭოთა მეომარს მისულიყო თავისი ნაცნობის სიგვარტ ლარსენის ბინაში. აქვე მოიწვიეს ჰარალდ კნუდტცენი, რომელმაც რუსული ენა იცოდა. ნორვეგიელმა პატრიოტებმა საბჭოთა მფრინავს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და გერმანელებისაგან მალადენენ მას ოთხ დღე-ღამეს, სანამ მოვიდნენ ჩვენი ჯარები.

ამჟამად სიგვარტ ლარსენი, პროფესიით შოფერი, ცხოვრობს დაბა სანდნესკრიუსეტში. ბიერნე ბედარი ჯელხია. იგი ცხოვრობს სვანვიკის რაიონში, სადაც დავეშვა საბჭოთა მფრინავი. ჰარალდ კნუდტცენი ინჟინერია.

მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოიჩინეს საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის გადარჩენის დროს, და მისთვის დახმარების გაწევისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 19 იანვრის ბრძანებულებით სიგვარტ ლარსენი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. ბიერნე ბედარი და ჰარალდ კნუდტცენი დაჯილდოებული არიან მედლით „საბრძოლო დაზასურეზისათვის“. (საკდესი).

ი. განდი: „ჩვენი მოვალეობაა ვამტკიცებდეთ მშვიდობას“

დელი, 19 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის 525 წევრი და საპარლამენტო ჯგუფის ლიდერის დღევანდელი არჩევნების დამსწრენი ტაშით შეეგებენენ ამ მაღალ პოსტზე ინდირა განდის არჩევას.

ფარული კენჭისყრის შედეგები გამოაქვეყნა ხურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხუბრამანიამმა, რომელმაც თქვა, რომ 526 დეპუტატიდან ინდირა განდის ხმა მისცა 355 დეპუტატმა, ხოლო მორარჯი დესაის, ყოფილ ფინანსთა მინისტრს — 169 დეპუტატმა. ორი საარჩევნო ბიულეტენი გაუქმებულად ცნეს.

კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე ი. განდიმ განცხადებით მიმართა ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის წევრებს. მან მადლობა გადაუხადა ნდობისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს მომავალ საქმიანობაში.

„ისევე“ როგორც მამარჩეს, — თქვა მან შემდეგ, — მე მუდამ თავი ერის მსახურად მიმაჩნდა, მაჰატმა განდიმ, ჯავაჰარლალ ნერუმ და ლალ ბაჰადურ შასტრიმ ჩვენს ხალხს უჩვენეს მომავლის გზა. გადაწყვეტილი მაქვს ვიარო ამ გზით. შასტრიმ, — ხაზგასმით აღნიშნა განდიმ, — სიცოცხლე შესწირა მშვიდობის საქმეს. ჩვენი მოვალეობაა ვამტკიცებდეთ მშვიდობას და ამავე დროს ვესწრაფოდეთ ჩვენი ქვეყნის განმტკიცებას“.

ინდირა განდის კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის ლიდერის პოსტზე არჩევა მიულოცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ლ. ნანდამ. მან რწმენა გამოთქვა, რომ იმ პრინციპებს, რომლებიც შეიმუშავა ჯავაჰარლალ ნერუმ, თანამიმდევრულად განახორციელებს მისი ქალიშვილი, რომ იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც მაჰატმა განდიმ, ჯავაჰარლალ ნერუმ და ლალ ბაჰადურ შასტრიმ დატოვეს, ამრავლებს ახალი ლიდერი.

„ი. განდი ლიდერად იმ მომენტში ავირჩიეთ, როცა ჩვენი ქვეყანა დიდ სიძნელეებს განიცდის, — თქვა ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ კ. კამარაჯმა. — ეს სიძნელენი ერთად უნდა დავძლიოთ. იმედი გვაქვს და გვწამს, რომ ინდოეთის მთავრობა ი. განდის ხელმძღვანელობით მტკიცედ და ეფექტიანად იშრომებს ინდოელი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად“.

მ. დესაიმ მიულოცა ი. განდის გამარჯვება და პირობა მისცა, რომ სრულ მხარდაჭერას გაუწევს.

ინდირა განდის პრეს-კონფერენცია

დელი, 19 იანვარი. (საკდესი). დღეს ქალბატონმა ინდირა განდიმ ინდოეთის პრეზიდენტთან ყოფნის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ახალი კაბინეტის შექმნას რამდენიმე დღე დასჭირდებაო.

ინდოეთი, თქვა ი. განდიმ, შეასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც გასსვენებულმა პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ იკისრა ტაშკენტის დეკლარაციით. ჩვენ, აღნიშნა მან, უნდა შევასრულოთ პრემიერ-მინისტრის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. ტაშკენტის დეკლარაცია პირველი, წინადადებული ნაბიჯია. ყოველი ნაბიჯი მშვიდობის დაცვის გზაზე — კარგი ნაბიჯია.

ლალ ბაჰადურ შასტრი, თქვა ინდირა განდიმ, განაგრძობდა მამარჩის პოლიტიკის კურსს და კონგრესის კურსს, რომელსაც ვერ გადავუხვევ.

ი. განდიმ განაცხადა, რომ ინდოეთის ეკონომიკა ამჟამად სიძნელეებს განიცდის. მან გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთი გადალახავს ამ სიძნელეებს.

ჟურნალისტთა კითხვაზე, როგორი წერილით სურს მიმართოს ქვეყანას ინდოეთის მთავრობის მეთაურის პოსტის დაკავების წინ, ინდირა განდიმ თქვა, მინდა ინდოეთს მოვაგონო მამარჩის წერილი, სახელდობრ: „მშვიდობის კლიმატის შექმნა“.

ჩვენ, განაცხადა ი. განდიმ, უნდა შევინარჩუნოთ ტაშკენტის სულისკვეთება, და ვეცდებით უზრუნველყოთ მშვიდობა.

ჰარალდ ნერუმ, თანამიმდევრულად განახორციელებს მისი ქალიშვილი, რომ იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც მაჰატმა განდიმ, ჯავაჰარლალ ნერუმ და ლალ ბაჰადურ შასტრიმ დატოვეს, ამრავლებს ახალი ლიდერი.

მენზისის გადადგომა

ლონდონი, 20 იანვარი. (საკდესი). ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა რობერტ მენზისმა დღეს გამოაცხადა, რომ გადადგა.

რ. მენზისს, რომელსაც 71 წელი შეუსრულდა, 16 წლის განმავლობაში ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი.

მენზისს ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე შეცვლის ჰაროლდ ჰოლტი.

ირანი ამგვადებს ეროვნულ კადრებს

თეირანი, 19 იანვარი. (საკდესი). ქალაქ ისპაჰანში, რომლის მსხლობლად აშენდება მეტალურგიული ქარხანა საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების შესაბამისად, უახლოეს დროს გაიხსნება ეროვნული ტექნიკური კადრების მოსამზადებელი ცენტრი. ჟურნალ „ქეიხან ინტერნეიშნლი“ წერს, საგეგნო ორგანიზაციის წარმომადგენლობა განაცხადა, რომ ამ ცენტრის სასწავლო პრეგრამით გათვალისწინებული იქნება როგორც მეტალურგიული ქარხნის, ისე ისპაჰანის რაიონში ამენებული სხვა სამრეწველო ობიექტების მოთხოვნილება ტექნიკურ პერსონალზე.

აკრძალეს გაკუძმეს

დელი, 19 იანვარი. (საკდესი). როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა აკრძალვა, რომ წვრილ და მინამრეწველურ საწარმოებს მიეცეს ფერადი ლითონები. ეს აკრძალვა შემოღებული იყო ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დაწყების შემდეგ. აკრძალვის გაუქმება შედეგია ტაშკენტის დეკლარაციისა, რომელიც ორივე ქვეყნის ეკონომიკის მშვიდობიანი დარგების განვითარების პერსპექტივას სახავს.

ფესტივალი სექტემბერია გათვალისწინებული

ვენა, 19 იანვარი. (საკდესი). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალი გაიმართება დამოუკიდებელი განის დედაქალაქ აკრაში მიმდინარე წლის სექტემბერში, ნათქვამია ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში. ფესტივალი მიეწყობა ლოზუნგით „სოლიდარობა, მშვიდობა და მეგობრობა“.

ბრძოლები ერაყის ქურთისტანში

თეირანი, 20 იანვარი. (საკდესი). ირანის გაზეთები „ეთელაათი“ და „ქეიხან ინტერნეიშნლი“ იმოწმებენ თავიანთი კორესპონდენტების ინფორმაციას ერაყის საზღვართან მდებარე რაიონებიდან, და იუწყებიან, რომ სერიოზული შეტაკებანი წარმოებს ერაყელ ქურთებსა და ერაყის მთავრობის ჯარებს შორის. „ქორთი მეამბოხენი, — წერენ გაზეთები, — შეიჭრნენ ისეთი დიდი ქალაქების რაიონებში, როგორიცაა კირკუკი, მოსული, სულეიმანია, და ლამის პანიკა გამოიწვიეს“. ერბილის რაიონში გამართული ბრძოლების დროს დახოცილი და დაჭრილია 45 ერაყელი ჯარისკაცი და 20 ქურთი. სხვა ცნობის თანახმად, „მეამბოხეთა შეიარაღებული ძალები ერბილის და მოსულის რაიონში ამ კვირის დამდეგს იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ მას შემდეგ, რაც მთავრობის ჯარებმა მაშველი ძალები მიიღეს“. ერაყის მთავრობის ჯარების თვითმფრინაგები კვლავ თავს ესხმიან ქურთთა რაიონებს.

ბაღდადი, 20 იანვარი. (საკდესი). ერაყის გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა აბდელ არეფმა გაზეთ „ალ-მანარის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ წელს ზამთარში არ მომხდარა დიდი ბრძოლები მეამბოხეთა ჯარებთან, გარდა პენჯვინისა და კურკის რაიონებისა, რომლებიც რეგანდუზის მახლობლად მდებარეობს.

გენერალმა უარყო ხმები, თითქოს მეამბოხეებს კირკუკამდე მიეღწიოთ, და განაცხადა, რომ ერაყის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბარზანის მომხრეებს კალალის რაიონში ჰაჯუმრანის მახლობლად.

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 20 იანვარი. (საკდესი). დღეს დილით ხონსიუს კუნძულის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ეპიცენტრის რაიონში მიწისძვრამ ბიძგების ძალამ შეადგინა ოთხი ბალი იაპონიაში მიღებული გამოთვლის შვიდბალიანი სკალით. სამბალიანი ბიძგები აღნიშნულია ნიიგატის პრეფექტურის მთელ რიგ ქალაქებში.

პროტოკასიელი გამოსხდომა

ჰავანა, 20 იანვარი. (საკდესი). ხუთი ქალი, მათ შორის ერთი ქალი, დაიკრა, როცა გუშინ დომინგოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მემარჯვენე დაჯგუფებათა წევრებმა სროლა აუტეხეს კონსტიტუციონალისტი ოფიცრის კაპიტან რამონ სანტიაგოს სახლს, რომელიც შედის ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ხუან ბოშის დამცველ რაზმში. თავდასხმის დროს, როგორც პრესა ლატინას სააგენტოს სანტო დომინგოდან კორესპონდენტი იუწყება, დაიკრა აგრეთვე ხუან ბოშის ვაჟიშვილი.

დაიკარგა ატომური გომგი?

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. (საკდესი). ასობით ამერიკელი ჯარისკაცი გეიგერის მრიცხველებით ჩხრეკს ახლა პალომარესის (ესპანეთი) მიდამოებს. ამერიკის საბჭდრო-საჰაერო ძალების სარდალს ამ რაიონში გენერალ დელმარ უილსონს განუწყვეტლივ აწვდიან გერტმფრინაგებით ადგილმდებარეობის მსგავლი პლანით გადადებულ ფოტოსურათებს. ძებნის ოპერაციები წარმოებს აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის სანაპირო წყლებში.

როგორც პრესა იუწყება, „B-52“ ბომბდამშენში, რომელმაც 17 იანვარს ატლასტროფა განიცადა პალომარესის რაიონში, იყო „ატომური მოწყობილობანი“, რომლებიც თვითმფრინაგის ნამსხვრევებში არ აღმოჩნდა.

ვაშინგტონიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა სტრატეგიული ავიაციის სარდლობის მცსა. საქმემ შეიძლება პოლიტიკური სკანდალის ხასიათი მიიღოს, რადგან ეს ბომბდამშენი დაიმსხვრა დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, რომელზეც შექმნილია ამერიკის სამხედრო ბაზებისა და ეროდრომების ხშირი ქსელი.

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. (საკდესი). მადრიდში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები სამ დღეს დუმდნენ და პასუხს არ იძლეოდნენ შეკითხვებზე, იყო თუ არა ატომური ბომბები ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სტატეგიულ ბომბდამშენში, რომელიც 17 იანვარს დაიმსხვრა პალომარესის რაიონში. ოღრეს ისინი იძულებული გახდნენ განეცხადებინათ, რომ ბომბდამშენში იყო დამცავი მოწყობილობანი აღჭურვილი ატომური იარაღი. ასოშიეიტედ პრესის საგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკელი ჯარისკაცები პალომარესის რაიონში განაგრძობენ ატომური ბომბების ძებნას.

დაკაპიტმრეს ოტო სკორცენის თანამონაწილე

ლუსაკა, 18 იანვარი. (საკდესი). ზამბიაში დაპატიმრებულია ყოფილი სს-ელი ოზეფ ბრენჰარდტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტმზვერავ ოტო სკორცენთან ერთად მონაწილეობდა საპატიმროდან იტალიის დიქტატორ მუსოლინის გატაცებაში. ყოფილი სს-ელი ზამბიაში ჩამოსულამდე დიდხანს იმალებოდა და მუშაობდა ეიდეკი საერთაშორისო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მფარველობით. ახლა მიმდინარეობს ბრენჰარდტის საქმის გამოძიება.

ლაპარაკობენ მოწმეები

ბონი, 19 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. იაკოვლევი გვატყობინებს:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის სამი ჯალათის სასამართლო პროცესზე, რომელიც მაინის ფრანკფურტში ხიმდინარეობს, ჩვენებას აძლევენ მოწმეები. ოსვენციმის ყოფილი პატიმრები ამხილებენ ჰიტლერელი ავადმყოფების საშინელ ბოროტმოქმედებას, რომლებმაც მოსპეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 3 მილიონზე მეტი მოქალაქე.

ამჟამად ვენაში მცხოვრები მწერალი ლანგბაინი დაბადუა და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი იყო. მან სასამართლოს უამბო, რომ რამდენიმე სხვა პატიმართან ერთად დღეიადომ იძულებული იყო ბანაკი ამ პატიმართა რიგისტრაციისა, რომლებსაც ოსვენციმში სპობდნენ. ჰიტლერელები თავიანთ მსხვერპლს ორი მარტო კრემატორიუმებში, ორამდე ოცეულებზეც წვავდნენ, ლანგბაინს თავის თვალით უნახავს, როგორ შეყავდათ სს-ელებს პატიმრები კრემატორიუმის ბუნის „ამერიკაში. რამდენიმე წუთის შემდეგ, თქვა მოწმემ, კრემატორიუმის ღუმელებს ოცი კუბური ასდიოდა.

მოწმე პოზნერმა ბრალად დასდო განსასჯელ ნეიბერტს, რომ იგი ხელმძღვანელობდა ავადმყოფი პატიმრების „შერჩევას“ მათ მოსასპობად. ნეიბერტი ხშირად მონაწილეობდა დასუფთავებული პატიმრების შერჩევაში, ადასტურებს მეორე მოწმე, ფრანგი პროფესორი ჟაკეი, რომელიც 1943 წელს მოხვდა ოსვენციმში როგორც წინააღმდეგობის მებრძოლი.

ჟაკეიმ გამოაცხადა ქიმიური კონცერნის „იგ ფარბენინდუსტრის“ დირექტორთა დანაშაულებრივი როლი, რომლებმაც ოსვენციმის მახლობლად, მონოვიცში აუშენეს ქიმიური ქარხანა, სადაც იყო მოშხალილად იყენებდნენ პატიმრებს. როცა ავადმყოფობის რაოდენობა 10 პროცენტს გადააჭარბებდა, მოშუას შორის იწყებოდა „შერჩევა“ გაზის კამერებში მოსასპობად. თქვა ჟაკეიმ, ოქვა მოწმემ, რომ „იგ ფარბენინდუსტრის“ დირექტორები მონაწილეობდნენ მოშუების განადგურებაში.

ანტიფაშისტი ბრონო ბაუმი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრობს, აგრეთვე ოსვენციმის პატიმარი ეყო. იგი დანაშაულებრივ მოქმედებას აბრალებს გერმანიის სამრეწველო კონცერნების და, ფონ ნეარის ყოვლისა, „იგ ფარბენინდუსტრის“ ხელმძღვანელებს.

საფრანგეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილება

პარიზი, 19 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის სასაზღვრო სამსახურებმა მიიღეს მითითება გააძლიერონ კონტროლი იმ პირებისადმი, რომლებიც საზღვარზე გადადიან. ფრანს პრესის სააგენტო იმოწმებს სარწმუნო წყაროებს და იუწყება ამ მითითების შესახებ, რომელსაც „ბენ ბარკას საქმეს“ უკავშირებს. ამ ღონისძიების მიზანია ხელი შეუშალოს იმ პირებს, რომლებიც ასე თუ ისე მონაწილეობდნენ მაროკოს ოპოზიციის ლიდერის გატაცებაში, დატოვონ საფრანგეთი.

ქომუნისტი

მე-3 გვერდი. პარასკევი, 21 იანვარი, 1966 წ.

დიდი ადამიანი

ჟან ფრანსვილი

ჟან ფრანსვილი ცნობილი ფრანგი კომუნისტი მწერალია. იგი ავტორია თეორიული ნაშრომისა „აგრარული საკითხი რუსეთში“ (1922 წ.). ფრანსვილმა ფრანგულ ენაზე თარგმნა მარქსიზმის კლასიკოსთა ბევრი შრომა. ჟ. ფრეკვილმა დაწერა წიგნები საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაზე, მ. ტორეზზე, ე. ზოლაზე, რომანები „მეიმე პური“, „მშიერი ნავსადგური“, „ლაღი ქარი“, მოთხრობათა კრებული „კოლაბორაციონისტები“.

ქვემოთ გამოქვეყნებული ნაწყვეტი ამოღებულია ფრეკვილის წიგნიდან ვ. ი. ლენინზე. იგი ამას წინათ გამოიცა პარიზში.

ლენინი მუდამ განირჩეოდა უაღრესად ჯანსაღი დამოკიდებულებით თავისი ამხანაგებისადმი. მისი რკინისებური ნებისყოფა შეხამებული იყო განსაკუთრებულ ადამიანურობასთან. მას პარტია მიაჩნდა დიდ ოჯახად და გულისხმიერ ყურადღებას იჩენდა პარტიის იმ წევრებისადმი, რომლებიც პარიზში რუსეთიდან ჩამოდიოდნენ. ახალჩამოსულს თან მოჰქონდა ახალი შთაბეჭდილებანი, სამშობლოს ჰაერი, უშუალო დაკვირვებანი მასების განწყობილებაზე. ლენინს შეეძლო ამ გზით შეემოწმებინა თავისი დასკვნების სისწორე. ბოლშევიკების ლიდერი თავაზიანად იღებდა უცნობს, ყურადღებით უსმენდა მას, ისე რომ მხედველობიდან არ უშვებდა არც ერთ დეტალს, აძლევდა შეკითხვებს. შემდეგ ლენინი იქმნიდა წარმოდგენას ამ ადამიანზე. თუ სტუმარი მოეწონებოდა, მიიწვევდა მას პატარა სამხარეულოში, რომ მასთან და თავის მახლობლებთან ერთად მცირედი პურმარილი მიეღოთ. მის თანამოსაუბრეთა სიტყვებით, ლენინთან საუბრით მიღებული შთაბეჭდილება არასოდეს აღარ ტოვებდა ადამიანს. ლენინის მცდელი თვალები, რომლებშიც ჭკუა და გონებამახვილობა გამოკრთოდა, სულში სწვდებოდა ადამიანს, და გეგონებოდა, რომ ამ ხარის კეთილი ლობლობდა იქ. მისი თვალების ციმციმი ყველაზე გამოცდილ და ძეცდნე ადამიანს ახალ პერსპექტივებს გადაუშლიდა.

ლენინი თეორიული აზრისა და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობის ცოცხალი მაგალითი იყო. იძულებული განლვენა ყველაფერი, ამ ბრძოლისთვის, ამ ბრძოლისთვის, ლენინი ცდილობდა შეეშუბუქებინა ეს განდევნა. იგი ამხნევებდა ჩამოსულთ, ეკითხებოდა ჯანმრთელობაზე, აძლევდა რჩევას, უსახავდა სხვადასხვა მისამართს, შემთხვევის დროს აძლევდა სათბურ ლამპას ან „სოჯახი ჭურჭელს“, ოჯახებსაც ტოვებდნენ პარიზიდან წასული ამხანაგები. ამ ნივთებს ნადიეჟდა კონსტანტინეს ასული კედლის განჯინაში ინახავდა მათი ახალი მფლობელის მოლოდინში. ლენინი ცდილობდა სამუშაო გამოეხატა ამ ადამიანებისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ინოკენტი, რომელსაც ლენინი დიდად აფასებდა, მარჯვედ გამოიქცა თავისი გადასახლების ადგილიდან — სოლვიჩეგოდსკიდან ფეხით სიარულის დროს ბორკილებს მისთვის ფეხები გადაეჭრილა. იარები არ უშუბებოდა. ინოკენტი წავიდა ექიმ ეიტომირსკისთან რომელსაც ბოლშევიკები კარგად იცნობდნენ. ექიმმა უთხრა, რომ განგრენა ეწყებოდა. ლენინი ძალიან შეშფოთდა და ავადმყოფი წაიყვანა ქირურგ დიე ბუშესთან, რომელიც ცხოვრობდა ტროკადეროს ავენიუზე, 48. მან გაანჯა იარები და გადაიხარხარა, როცა ლენინმა მას ეიტომირსკის თავზარდამცემი დიაგნოზი ჯაგანო.

— თქვენი შეიდიკები, შესაძლოა, შესანიშნავი რევოლუციონერები იყოს, მაგრამ პროფესიონი თვალსაზრისით, უგუნურები არიან! ახლა უკვე ლენინმა გადაიხარხარა. შემდეგში იგი ხშირად იხსენებდა ამ სიტყვებს, რომლებსაც თავაზიანობა აკლდა, სისწორე კი არა.

მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც ხშირად გამოსული იყვნენ მეტად თუ ნაკლებად შეძლებული ბურჟუაზიული წრიდან, ფული მოსდიოდათ რუსეთში დარჩენილი თავიანთი მახლობლებისაგან. ბოლშევიკების მდგომარეობა კი სხვა იყო. ისინი იძულებული იყვნენ, თავი რომ ერჩინათ, ემუშავნათ და შემოსავლებს სამუშაოს სჯერდებოდნენ. მეწარმენი უარს ეუბნებოდნენ მათ სამუშაოდ დაქირავებაზე — ხან იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა ფრანგული ენა არ იცოდნენ, ხან იმიტომ, რომ რუსი რევოლუციონერები იყვნენ. ბოლშევიკებს შორის ბევრი იყო მეჩექმეები, მკერავი, მხატვარი, მეშპალერე. მცირე ხელფასით ისინი სამუშაოს შოულობდნენ ეზრეულ მეწარმეებთან ან ხელოსნებთან. ბოლშევიკების მეორე ნაწილი — შავი მუშები და ინტელიგენტები ყოველნაირ სამუშაოს ეისრულობდნენ — მუშაობდნენ ჭურჭლის, ეტლების და ფანჯრების მრეცხავებად, იატაკის მწმენდავებად, მტვერთფავებად... ოთხ საათს ღამე მუშაობაში ერთ ფრანკს იღებდნენ. ამდენივე ღირდა მცირედი ულუფა ტრაქტირში. ფული რომ არ ჰქონდათ, ერთ ოთახში რამდენიმე ემიგრანტი ცხოვრობდა, ამ ოთახს ისინი „კომუნად“ აქცევდნენ: ათ მობინადრეს რამდენიმე სკამი ჰქონდა და იატაკზეც კი ეძინათ. ვინც რუსეთიდან გამოქცეული იყო უეროშკინკოდ, ვინც უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდა, ნამჯის ლეიბს იღებდა მისაღებ ბინებში. მენშევიკებმა ასეთი პუნქტი გახსნეს მუფეტარის ქუჩაზე, ბოლშევიკებს თავიანთი პუნქტი ჰქონდათ პარკ-მონსურის, ავენიუზე, ლეასიკიების ქუჩაზე სამეკიტნო რევოლუციის დატაკთა თავშესაყარი ადგილი იყო: ორმოცდაათ სანტიმად მათ უხმეს საჭმელი ეძლეოდათ.

ლენინი ცდილობდა რაც შეიძლება უკეთ დამამარებოდა ესოდენ გაჭირვებულთ. პარიზში იყო ხალარო პოლიტიკური ემიგრანტებისათვის დახმარების გასაწევად. მას ესერები განაგებდ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ახალი წყალსადენი ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. 19 იანვარს, ნაწილობრივ ამუშავდა ფარცხანაყანევის წყალსადენის მეორე რიგი, რომელიც წამში 400 ლიტრ ანკარა სასმელ წყალს იძლევა. ამიერიდან ფარცხანაყანევის წყლით ქალაქის წყალმომარაგება თითქმის ერთიორად გადიდდება.

წყალსადენის მეორე რიგის მთლიანად ამუშავების შემდეგ ქალაქი დამატებით მიიღებს წამში 550 ლიტრ წყალს.

№ 4 საერთო-სამშენებლო ტრესტისა (მმართველი ო. ბებილეიშვილი) და მექანიზაციის სამმართველოს (უფროსი ნ. ჯიქია, ფარცხანაყანევის წყალსადენის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ნ. დვალიშვილი) მშენებლებმა და მემონტაჟეებმა გათვალისწინებული სამუშაოები ვადაზე ორი წლითა და სამი თვით ადრე შეასრულეს.

ახალი წყალსადენის მაგისტრალის საერთო სიგრძე 17 კილომეტრია.

გუშინდელი ფოსტიდან

ტყიბული. დღითიდღე უმჯობესდება რაიონის კოლმეურნეთა მომსახურება ავტოტრანსპორტით. ტყიბულიდან რეგულარულად გადიან ავტობუსები ახალსოფლის, ცუცხვათის, სოჩხეთის, ძირვნისა და საფირის მიმართულებით. ახლა დაინიშნა კიდევ ერთი ახალი საავტომობილო მარშრუტი ტყიბული — სოფელი დაბაველი.

ვ. ხომასურიძე.

ცხაკაია. რაიონის კოლმეურნეობებში აშენებენ ბოღ-ვენახებს. გაშენდა 50 ჰექტარი ახალი ბაღები, ხოლო 20 ჰექტარი ვენახი. ბაღ-ვენახების გაშენების გეგმები გადაჭარბებით შესასრულეს. უშაფთის, ფოცხოს, ლეძაძამის, ხორშის და ძველი სენაკის კოლმეურნეობებმა.

ს. კუბავა.

ხაშური. ხაშურის მუსიკალურ სკოლაში 400 მოსწავლე ირიცხება. დღემდე სკოლა ვიწრო შენობაში იყო. ამ დღეებში იგი გადაიტანეს ლენინის ქუჩაზე ერთ-ერთ დიდ შენობაში, სადაც 18 ოთახი დაეთმო.

დ. ფარემუზოვი.

ტყვარჩელი. კულტურის სახლის დარბაზში გამართული ახალგაზრდობის თემატური საღამო. მიეძღვნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. მოხსენებები წაიკითხეს ქალაქის პროკურორმა ა. გოგიაძემ, მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილემ ი. შენგელიამ. მათ ახალგაზრდების მრავალ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცეს. საღამოს მონაწილეებს უჩვენეს კინოფილმი „ხალხის საქმე“.

ვ. ბარქაია.

110 წლის კოლმეურნე

ჰიათურა, 20 იანვარი. (საქდესი). ჰიათურას 30 კილომეტრით დაშორებულ მთის სოფელ ჩხერაულში ცხოვრობს 110 წლის მოხუცი გერმანე ნიკოლოზის-ძე კაპანაძე. მას ჯერ კიდევ საღი აზროვნება, მეხსიერება, სმენა და კარგი მხედველობა შემორჩენია.

გერმანე კაპანაძეს ჰყავს შვიდი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, 70 შვილიშვილი და შვილთაშვილიშვილი. უფროსი შვილი 80 წლისაა, უმცროსი კი — 50 წლის.

გ. კაპანაძე ახალგაზრდობას აჩვენებს პატიოსანი შრომის მაგალითს. იგი ახლაც შრომობს ოჯახსა და კოლმეურნეობაში, აქტიურად მონაწილეობს სოფლის საქირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში.

1 მილიონ 250 ათასი მოგება

ფელ. სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხით გათამაშდება 78,6 მილიონი მანეთის 1 მილიონ 250 ათასი მოგება, — აცნობეს საკდესის კორესპონდენტს სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში.

ამ სესხის მორიგი, 109-ე ძირითადი მომგებიანი ტირაჟი 30 იანვარს გათამაშდება მოსკოვში. ტირაჟში გათამაშდება ოცი თანრიგის 9.300.400 მანეთის 170.000 — მოგება, მათ შორის — 5.000 მანეთიანი — 40 მოგება, 2.500 მანეთიანი — 100 მოგება, 1.000 მანეთიანი — 500 მოგება, 500 მანეთიანი — 1.600 მოგება, აგრეთვე 100 და 40 მანეთიანი მოგებანი.

შემდეგი, მოგებათა 110-ე ძირითადი ტირაჟი 30 მარტს გათამაშდება ლენინგრადში. (საკდესის კორ.).

ხალისით, სიყვარულით...

შეხედეთ ოთახში მოფუსფუსე, სახეგაცისკროვნებულ ამ ბეჭით გოგონებსა და ბიჭუნებს. ისინი ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები არიან. მათ საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი სწავლისა, შრომისა და დასვენებისათვის.

ნათელი სასწავლო კორპუსი საკლასო ოთახებითა და კაბინეტებით. სასადილო, სასპორტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო. სასწავლო ნაკვეთი, დასასვენებელი ოთახები — ყველაფერი ეს ბავშვებს ეკუთვნის.

პარტიისადმი უსაზღვრო მადლიერების, დიდი ლენინისადმი სიყვარულის გრძნობაა ჩაქსოვილი პიონერების საქმიანობაში, როცა ისინი რთავენ ვ. ი. ლენინის ოთახს.

* * *

სურათზე: პიონერები ვ. ი. ლენინის ოთახში.

ფოტო და ტექსტი
ს. კილაძისა.

იშვიათი ნაპოვნი

არქეოლოგიური გათხრები სოფელ დაფნარში

სოფელი დაფნარი სამტრედიიდან სამხრეთით ეახლაკენ გადასახვევი გზის პირას, ციონისპირა გორაკებზეა გაშენებული, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს ლეგენდარული ფასისის ველი. ერთ-ერთ ასეთ გორაკზე სახლობს კოლმეურნე პ. ციხლაძე. იგი საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობისას წააწყდა საინტერესო არქეოლოგიურ ძეგლებს. ამ აღმოჩენის შესახებ მან წერილობით აცნობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს.

ექსპედიცია მაშინვე ესტუმრა ამ მდადმოებს. არქეოლოგებმა დათვალიერეს აღმოჩენის ადგილი და მეცხრე მსუბუქბის დაზეიერვიდი ხასიათის გათხრები მოახდინეს. აღმოჩნდა ძვ. წ. V-III სს. სამაროვანი, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ დიდი ზომის, შუაში გადახერილ ქვევრებში, „საიქიო ცხოვრებისათვის“ ჩატანებული ჰქონდათ ნივთები, რომლებსაც გარდაცვლილი სიცოცხლეში ხმარობდა — სამაჯურები, ჭურჭელი, იარაღი, მონეტები.

აღმოჩენილი ნივთებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი შეხედვით უბრალო თიხის ლარნაკს, რომლის პრიალა შავ ზედაპირზე გამოწვის შემდეგ არწივ-კაცის გამოსახულება ამოუკვრავთ (სურ. 1). ასეთი გამოსახულება ჩვენში პირველად აღმოჩნდა და, როგორც ჩანს, აქამდე უცნობი კოლხური წარმართული პანთეონის რომელიღაც ზოომორფულ ღვთაებასთან გვაქვს საქმე. მისი დამახასიათებელი დეტალებია ადამიანის ტანი და მამაკაცური ძალის, ნაყოფიერების სიმბოლო — ფალოსი.

გამოსახულების ამოკვეთის დროისათვის კოლხეთის ღმერთები ხალხის წარმოდგენაში ნელ-ნელა ანთროპომორფულ ადამიანთა მსგავსი ხდებიან. პირველყოფილი თემური წყობილების დროს, როდესაც ადამიანი უძლური იყო ბუნებასთან ბრძოლაში, ის ზებუნებრივ ძალას მიაწერდა ყველაფერს, რაც მასზე ძლიერი იყო. ამიტომ ადამიანები ღმერთებს ცხოველების და ფრინველების სახეს აძლევდნენ, რითაც თითქოს მათი ჯულის მოგება სურდათ. ძველ ეგვიპტეში თაყვანს სცემდნენ წმიდა ხარებს, კატებს, ლომებს, შევარდნებს, გველებს და ნიანგებსაც კი. მათი კულტი გადმონაშთის სახით დიდხანს შემოინახა ძველ ეგვიპტურ რელიგიაში. შუამდინარეთში არსებობდა ნაყოფიერებისა და ნადირობის ღმერთის კულტი. ამ ღმერთს — იმდროდ წარმოსახავდნენ ლომისთავიანი არწივით. კლასობრივი საზოგადოების აღრეულ ეტაპზე ბუნების მრისხანე ძალები თანდათანობით ადამიანის სახეს იღებენ. ერთ-ერთ ეგვიპტურ ღმერთს (ნაყოფიერების ღმერთის ოზირისისა და იზიდას შვილი) უკვე ადამიანის ტანი და შევარდნის თავი ჰქონდა. როგორც სურათიდანაც კარგად ჩანს, ჩვენს გამოსახულებასაც ადამიანის ტანი და არწივის თავი აქვს. თითქმის ასეთივე არწივისთავიანი კაცები გვხვდება ასირიულ რელიგიაში. მათი რელიეფები აღმოჩენილია აშურნაზირპალ II (ძვ. წ. 884-859 წწ.) სასახლის კედლებზე (სურ. 2) იქ ისინი წარმოადგენენ ნაყოფიერების ღმერთის, რომლის სიმბოლოდ მოიხმობილია სიცოცხლის ხე, მსახურებს (ქრისტიანული ტერმინოლოგიით ანგელოზები). ჩვენი გამოსახულების ამგვარად გაზარებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ არწივ-კაცს ფალოსი აქვს, ე. ი. მას განაყოფიერების ღვთიური ძალა აქვს და, როგორც ჩანს, კოლხური პანთეონის ერთ-ერთ მთავარ ღმერთს წარმოადგენს. მიუხედავად გამოსახულების ერთგვარი პრიმიტიულობისა, მაინც იგრძნობა, რომ ავტორს სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონია ამ ღვთიებაზე და საკმაოდ დამაჯერებლად გადმოუცია მისი არსი. გარდა გამოსახულებისა, საინტერესოა თვით ლარნაკიც. ყელის არეში გარშემო გაკეთებული აქვს ლურსმული წარწერების მსგავსი ორნამენტი. ჭურჭელს ერთი გვერდი შემტვრეული აქვს. ლარნათან ერთად სამარხში აღმოჩნდა ორად გადაცალილი რკინის ხანჯალი, რომლის პირი ზუსტად მოერგო ლარნაკში გაკეთებულ ნახვრეტს. ამან კი ცხადყო, რომ ჭურჭლის გვერდი ამ ხანჯლით განზრახ შეუმტვრევიათ. ამის შემდეგ ხანჯალი გადაღუნეს. უიჭველად აქ მაგიური მოქმედების რაღაც რიტუალის კვალია. სხვა ჭურჭელი, კი რომელიც ამ სამარხში აღმოჩნდა, მთელი იყო. ცნობილი წესი — კვდება პატრონი, კვდება მისი ნივთები, მხოლოდ იმ ერთის მიმართ განეხორციელებიათ, რაც გამოიხატა ლარნაკისა და ხანჯლის განზრახ გაფუჭებით. საერთოდ ეს წესი მიზნად ისახავდა ცოცხლების დაზღვევას გარდაცვლილის სულის მავნე მოქმედებისაგან, შესაძლებელია არწივ-კაცის გამოსახულებიანი ლარნაკი საკულტო ჭურჭელს წარმოადგენდა და მაგიურ ძალას მიაწერდნენ. ამიტომ გამხდარა საჭირო მისი უვნებელყოფა.

აღმოჩენილი ნივთების შესწავლა გრძელდება. რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ახლო მომავალში უფრო ფართოდ ვიმსჯელოთ ქართული უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

გ. ლორთქიფანიძე.

საინტერესო ამბების საქუჩაროში

შემთხვევა

დელფინები „უპასუხებენ“ ადამიანებს

დელფინები დიდი ხანია აინტერესებს ადამიანს. გონიერება, თვინიერება, ხალისი და მოსაზრებულობა — ყოველივე ეს ის იწვევს მკვლევართა ყურადღებას მათდამი. დანაბდვილებით არის ცნობილი, რომ დელფინები დახმარებიან ხოლმე მებადურებს, გადასარჩენად მიშველებიან წყალწაღებულებს, დაუფარავთ ისინი ზვიგენის თავდასხმისაგან. დამტკიცებულია, რომ ზღვის ამ ცხოველებს შეუძლიათ თავიანთ დელფიურ „ენაზე“ გაგებინონ აზრები ერთმანეთს, რომ მათ ნაზი მელოდიები უყვართ და კაკაფონიურ ბგერებს ვერ იტანენ...

აი ერთი მეტად საინტერესო შემთხვევა, რომელიც წყნარ ოკეანეში მოხდა. თევზსაჭერი ტრაულერი „ალაზეა“ შედარებით წყნარ ამინდში ურუპის სრუტეს გადაიოდა. გემს აემგზავრა 15 დელფინი. ისინი გემის ხან მარჯვნივ მიცურავდნენ, ხან მარცხნივ, ზედ ფორშტევენთან თამაშობდნენ. მათს ერთი შეხედვით უწესრიგო თამაშში შეიძლებოდა გარკვეული რიტმი შეგვმჩნიათ.

როცა გუნდმა გემს გაუსწრო, მებადურებმა გაიხსენეს, რომ ზღვის ზოგიერთი ცხოველი შეიძლება სტვენით მიიზიდო. ეკიპაჟის ყველა წევრი სტვენას შეუდგა და ცდილობდა ამნაირად უფრო ახლოს მიეტყუებინა ცხოველები.

უსტვენდნენ ისე, როგორც უსტვენენ, ძაღლებს რომ ეძახიან. მაგრამ აი ყველას შემოესმა რაღაც გარეშე ბგერები. ერთმანეთს გადახედეს, ყური მიუგდეს... და აღმოაჩინეს, რომ ხმამაღალი სტვენა ისმოდა... წყლიდან! დელფინები პასუხს აძლევდნენ ადამიანებს! წყალქვეშა მომღერალთა არცთუ მწყობრი, მაგრამ განუმეორებელი გუნდი თითქოს სწავლობდა მისთვის უცნობ მელოდიას. ეს ათიოდე წუთს გრძელდებოდა.

ამ შემთხვევის შესახებ გაზეთ „კამჩატსკაია პრავდის“ ფურცლებზე მოგვითხრო წყნარი ოკეანის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კამჩატკის განყოფილების მეცნიერმა თანაშრომელმა ა. ნიკოლაევმა.

ახლა საკუთრებთ დარწმუნებული ვარ, წერს ავტორი, რომ ის, რაც შეემთხვა ჰომეროსის ოდისეუსს, რომელიც მოიხიბლა ლეგენდარული სირინოზების წარმტაცი ბალობით, შეიძლებოდა მომხდარიყო ძველ დროებში, ზღაპრული მომხიბვლელები კი — ნახევრადქალწულები — ნახევრადთევზები სასწაულმოქმედი დელფინები იყვნენ. ყველაზე სავარაუდოა, რომ ჩვენი შემთხვევის ანალოგიური ამბავი ერთხელ ძველ ზღვაოსნებს შეემთხვათ. მას შემდეგ ეს თანდათან გაფართოვდა და გამდიდრდა მოგონილი ამბებით და ირონიებით, ბოლოს ლეგენდად იქცა და შევიდა ძველბერძნული ეპოსის საგანძურ „ილიადაში“...

ვერიკო გამოჯანმრთელდა

გასული წლის მაისში საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის პრესაში დაიბეჭდა ცნობა იშვიათი შემთხვევის შესახებ ჭირურგიაში. სტავროპოლის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა ი. ს. გლეგინმა ოპერაცია გაუკეთა გოგონას, რომელსაც ჰქონდა ორი სხეული. ვერიკოს ბედი დღემდე აინტერესებთ მკითხველებს. გაზეთების რედაქციები და ჟურნალები კვლავ იღებენ მრავალ შეკითხვას.

— შეუძლებელია ყოველ წერილზე ცალკე პასუხის გაცემა: წერილები ასობითაა, — უთხრა იური სიმონის-ძემ საკდესის კორესპონდენტს. ამიტომ გთხოვთ აცნობოთ მკითხველებს, რომ ჩემი პატარა პაციენტი ჯანმრთელადაა და შესანიშნავად გრძნობს თავს. ახლა იგი სავსებით ნორმალური გოგონაა, მხოლოდ მეერდსა დ მუცელზე, სადაც მეორე ზედმეტი სხეული ჰქონდა, ნაკერის მკრთალი კვალი დარჩა.

ერთი თვის შემდეგ გოგონას ორი წელი შეუსრულდება. მას ყველა კბილი აქვს, მადიანად შეექცევა საჭმელს, რამდენიმე კილოგრამით მოიმატა, თუმცა ბავშვის წონა ჯერ კიდევ ნორმაზე რამდენადმე ნაკლებია.

— გოგონა შშობლებთან ცხოვრობს. ცოცხალი და მხიარული ბავშვია, კარგად ლაპარაკობს. უპასუხებს შეკითხვებზე. — თქვა დასასრულ პროფესორმა გილევიჩმა, — იგი შრომისუნარიანი, სოლიდფასოვანი ადამიანი გახდება.

ოდესა. (საკდესის კორ.). ვეშაპთსანადირო ბაზა „საბჭოთა უკრაინიდან“ იტყობინებიან საინტერესო ამბავს, რომელიც სამხრეთ პოლარულ წრესთან მოხდა. ვეშაპზე სანადირო გემი „ბორიაჩი“, რომელიც საღამო ჟამს კამპალოტებზე ნადირობას ამთავრებდა, კინაღამ არ დაეჯახა ვეშაპის უსულო ჯგამს. სიბერისაგან ამოხდა სული ვეშაპს, თუ ზღვის რომელიმე სხვა ურჩხულთან უთანასწორო ბრძოლაში დაეღუპა — არავინ იცის. მეზღვაურებმა დადგინეს, რომ ვეშაპი გამოდგება ტექნიკური ცხიმის წარმოებისათვის და იგი თავიანთი ჯიმის ქიმს მიაბეს. ვეშაპს დაეროვილი გაზებისაგან მუცელი გაბერვოდა. ამქნელებმა სცადეს გაზებისაგან გაეთავისუფლებინათ ვეშაპი და სპეციალური დანით გაუჭრეს მუცელი ორო.

მალე ვახტისაგან თავისუფალი ვეშაპთმონადირეები კიეუტ-კამპანიაში შეიკრიბნენ. დაიწყო კინოსეანსი. უეცრად შემოვარდა მორიგე ნიკოლოზ ჩერნეი და დაიძახა: „ვეშაპი იწვის!“. მეზღვაურები ჯიმბანზე გამოცვივდნენ და საოცარი სურათი დაინახეს: ვეშაპზე 4-5 მეტრი სიმაღლის მოყვითალო ალი ჯიზგზიზგდა.

აღმოჩნდა, რომ ვიღაცას ანთებული სიგარეტის ნაბიჯვი გადაუგდია“ ზღვაში. ვეშაპიდან ამამსოფ გაზებს ცეცხლი მოჰკიდებია. ჭრილობნობა დაიწყო, ალცხლ ძლიერდებოდა... მეზღვაურებმა ჩართეს სახანძრო ტუმბო და წყლის მძლავრ ჭავლით ჩააქრეს ალასლი.

ეს იყო ერთ-ერთი უიშვიათესი „ხანძარი“ ანტარქტიკაში.

„ხანძარი“ ანტარქტიკაში

რევანშის წყურვილით

საუბარი კიევის „დინამოს“ უფროს მწვრთველთან ვ. მასლოვთან.

თბილისელები დიდი მატჩის მოლოდინშია. მომავალ ოთხშაბათს „დინამოს“ სტადიონზე ვიხილავთ ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეორე მეკოთხედფინალურ მატჩს გლაზგოს „სელტიკისა“ და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

დინამოელები რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდნენ შოტლანდიიდან დ. საგულდაგულოდ ემზადებიან დიღმის სასპორტო ბაზაზე. გუშინ მათ იმ დროს მივუსწარით, როდესაც გაცხოველებული წვრთნა ქონდათ. გუნდი გაყოფილი იყო ორ ჯგუფად, ერთი ნაწილი შეუჭერებელ გადაცემებსა და კარში დარტყმებზე ვარჯიშობდა, მეორე — ბურთის დაშუშავებასა და „მეტოქესთან“ პირისპირ ბრძოლაში. მწვრთნელი ვ. მასლოვი ხან ერთ ჯგუფს შეეერთდებოდა, ხან მეორეს და ფეხბურთელებს მითითებებს აძლევდა. ის, რაც ამ წვრთნიდან გამოვიტანეთ, იყო მოთამაშეთა ერთსულოვნება, რეკვანშის წყურვილი.

ვ. მასლოვი სიტყვაძუნწი კაცია. მით უმეტეს, თუ საუბარი მის გუნდს შეეხება. და ისიც ასეთ ვითარებაში მაინც შევარჩიეთ სათანადო მომენტი და მწვრთნელი საუბარში გამოვიწვიეთ. აი რას გვიამბობს იგი.

— ნამდვილი გაზაფხულია თქვენთან. ასეთ ამინდში რარიგადაც ჩაქნეული უნდა ჰქონდეს ხელი ფეხბურთელს, თამაშისათვის მაინც განეწყობა ხედავთ, როგორ ვარჯიშობენ ჩვენი ბიჭები. მე მჯერა მათი მახსოვს, გლაზგოში გამეზავრების წინაც მქონდა თქვენთან საუბარი თბილისის ნაკრებთან მატჩის შემდეგ. ეს ბიჭები, ეს ბიჭები ... ეს ... ეს ... ეს